


140

1977

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# სიმბოლო

12  
1977





თბილისი. ზეიმი მთავრობის სასახლის წინ.

საბოთა ჯარისკაცები სამხედრო პარადზე.

რუსთაველის კომპოზიციის მდინარეზე მობილიზაცია ნორჩ მოქალაქეთა ნაპაღები.



# დიდი ოქტობრის დიდი ზეიმი

საბჭოთა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი.


სახელოვანი იუბილეს დღესასწაულობა, მოსკოვში გამართული სამხედრო პარადი და მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია იყო ჩვენი ქვეყნის მიღწევათა შთამბეჭდავი დათვალეირება, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური წყობილების ძალისა და იდეების სიცხოველის მკაფიო დადასტურება. მსოფლიოს წინაშე მთელი სიდიადით აელვარდა თვალუწვდენი საბჭოეთი—მშვიდობის ბურჯი, უმწვერვალესი უტყურა, პლანეტის ყველა მშრომელს რომ უნათებს გზას თავისუფლებისაკენ, ნათელი მომავლისაკენ.

2 ნოემბერს მოსკოვში საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევა გააკეთა მოხსენება „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“. სადაც ყოველმხრივ ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ოქტომბრის სამშობლოს მიერ განვლილი გმირული გზა, ჩვენი მიღწევები, ჩვენი პრობლემები და პერსპექტივები.

ამ ღირსსახსოვარ ზეიმზე პირნათელი წარსდგა ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობაც, რომელმაც თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა სწავლასა და შრომაში, გამოავლინა კომუნისტური საქმისათვის საბრძოლველად სრული მზადყოფნა.



848



მოგაიჯივას ახალგაზრდობა — ქვეყნის სიზაფუქი.

ფოტო ბ. სანაიასი.

ბათუმის 1926 წლიდან

საქართველოს ალექსანდრე ლავრენცოვის სახელობის კომუნალური ორბანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უკველთიერი საპაპეო ჟარალი



**კომუნალი**

**12 დეკემბერი 1977**

საქ კვ მკ-ის ბათუმისაგელობა





# ჩუხარი სიძნევის

ამასწინათ თბილისში ჩატარდა საკავშირო პირველობა „მშდ“-ს მრავალჭიდიში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. მასში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის და ბამის უძლიერესი ფიზკულტურელები.

შეჯიბრებაზე საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

1. რსფსრ, 2. ლენინგრადი, 3. მოსკოვი. საქართველოს ფიზკულტურელები საპატიო მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ... თუმცა მსგავს ასპარეზობაზე მოპოვებული ადგილები როდია მნიშვნელოვანი „მშდ“ პირველ ყოვლისა დიდი სიხარულია, ჯანმრთელობის, სპორტის ზეიმი.

აი, რა გვიამბო ასპარეზობის ორმა მონაწილემ:

### ჩემი მთავარი რეკორდი

უხუცესი ფიზკულტურელის ნიკოლოზ ზოლოტოვის ნაამბობი: დადამდა. ირგვლივ ისე ჩამოხელოდა, რომ იტყვიან, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. თვითმფრი-

ნავით ღრუბლებს ზემოთ შეუძინეველად მივფრინავდი. მსგავსი დავალებები წინათ მრავალჯერ წარმატებით შემისრულებია. იმ დღეს არ გამიბართლა. მტერმა ჩემი თვითმფრინავი შენიშნა. მძიმედ დავიჭერი. ჰოსპიტალში მომათავსეს. რამდენიმე თვეში ჭრილობა მომიშუშდა, მაგრამ ფრონტზე აღარ გამიშვეს — სამედიცინო კომისიამ ინვალიდად მცნო.

ამ ამბავმა ძლიერ დამაღონა. ჩემი ამხანაგები გერმანელ ფაშისტებს ანდგურებდნენ, მე კი... ერთ დღეს გონებაში ნათელმა აზრმა გამიელვა, მოდი ვარჯიშს დავიწყებ, იქნებ ამან მიშველოს-მეთქი. ასეც მოვიქეცი. თავიდან მცირე დატვირთვით ვვარჯიშობდი, მერე კი დატვირთვა გავზარდე.

მალე დიდი სამამულო ომიც დამთავრდა. ქვეყნად მშვიდობა დამკვიდრდა. სპორტში მეცადინეობა მეტი ხალისით განვაგრძე. ერთი რამეც შევნიშნე: რაც მეტს ვვარჯიშობდი, თავს მით უკეთესად ვგრძნობდი, უმჯობესდებოდა ჩემი სპორტული შედეგებიც.

1972 წელს ძალაში შევიდა ახალი ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის“. სტარტებზე მილიონობით საბჭოთა ადამიანი გამოდიოდა.

ვიფიქრე, რატომ მეც არ უნდა გავხდე „მშდ“-ს ნიშნოსანი-მეთქი.

ჩემი სურვილი მსაჯებმა ღიმილით მოისმინეს. ალბათ გულში ფიქრობდნენ: ამ მოხუცმა (მაშინ 77 წლისა ვიყავი) როგორ უნდა ჩააბაროს „მშდ“-ს ნორმატივებით. მათ გაცემას საზღვარი არა ჰქონდა, როცა 400 მეტრი 2 წუთსა და 45 წამში გავიბრინე, თავისუფლად გავცურე 50 მეტრი.

წვრთნა არც „მშდ“-ს ნორმატივების ჩაბარების შემდეგ შემიწყვიტა. ყოველდღე სისხამ დილით ვდგები, დილის გამამხნეველ ვარჯიშს ვასრულებ. მერე კი 1,5-2 საათს ვვარჯიშობ. ჩემი სპორტული შედეგები კვლავ უმჯობესდება. მაგალითად, 60 მეტრს ახლა 11,6 წამში გავიბრინებ, 800 მეტრს 3 წუთსა და 10 წამში.

მას შემდეგ, რაც სპორტს დავუკავშირდი, არასოდეს გავცივებულვარ. დღესაც, 82 წლის ასაკში, თავს მშვენივრად ვგრძნობ. ძალაც ამი-

ტომ მოვისინჯე „მშდ“-ს მრავალჭიდიში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე თბილისში გამართულ ასპარეზობაში.

ვიცი, ყოველ ბიჭს უნდა ღონიერი და მარჯვე იყოს. განდებიან კიდევ ასეთები, თუ ფიზკულტურასა და სპორტს დაუშვებობდებიან.

სპორტში მთავარი ოქროს მედელები და რეკორდები როდია. აბა



*Юнги грядущий  
Совиной войны-мощной  
С померзшими  
остановах шолохных  
гор!*

*ქოთია*  
31.10.77

მზიური საპრთველოს ნორი მოქალაქეებს — პიონერებს, მუსუგრავს წარმატებას პიონერულ საქმიანობაში.

ა. ლომოვი.

რა სკობია ძლიერ, ამტან, მტკიცე, ჯანმრთელ ადამიანს! პირადად ჩემთვის, 82 წლის კაცისათვის ხომ მთავარი ჯანმრთელობა და სიმხნევეა.





აი ამ ნახტომმა მოუტანა  
მიხეილ ბალაშაძეს გამარჯვება.

**დისტანცია—500 მეტრის ტოლია**

მარნეულის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლის მიხეილ ბალაშაძის ნაამბობი: ჩემს კლასელებს სპორტი ძლიერ უყვართ. ყველა ცდილობს, რომ „მშდ“-ს ნიშნოსანი გახდეს. კვირაში გამოყოფილი გვაქვს ხტომის, რბენის, ცურვის დღეები... ამ დღეებში ნორმატივებს ვაბარებთ. ვინც ვერცხლის მედალზე ჩააბარებს „მშდ“-ს ნორმატივებს, მერე ოქროს სამკერდე ნიშნისათვის იბრძვის. ვინც „ოქროს მფლობელია, „მშდ“-ს მეორე საფეხურის — „სპორტული ცვლის“ — ნორმატივების ჩასაბარებლად ემზადება.

თბილისში რომ მოვდიოდი, „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, გამომაცილეს: აბა, ჩვენს კლასს თუ ასახელებო!

ასპარეზობაზე ყველაზე მეტად 500 მეტრზე რბენა დამამახსოვრდა. სტარტზე ჩემს თანატოლ ბიჭებთან ერთად გამომიძახეს. ყველანი დაბაბული ველოდით მსაჯის ნიშანს. მალე ბრძანებაც გაისმა:

— ყურადღება!.. წინ!

წინ გავიჭერთ. ჩემი მეტოქეები მაშინვე დაწინაურდნენ. ვიფიქრე მეც მთელი ძალით გავიქცევი. არ ჩამოვრჩე-მეთქი, მაგრამ უცებ ჩემი ფიზკულტურის მასწავლებლის დარიგება გამახსენდა. 500 მეტრ დისტანციაზე ასპარეზობისას მთავარია ძალების განაწილება, სტარტის ადების დროს მაქსიმალური სიჩქარის განვითარება საჭირო არ არის. რბენის ტემპს დისტანციის შუა ნაწილში უნდა მოუმატო, ფინიშზე კი ძალები უნდა მოიკრიბო და მაქსიმალური სიჩქარე „ჩართო“.

...დისტანციის ნახევარი დაგძლიეთ. ტემპს მოვუმატე. მეტოქეები თანდათან ჩამოვიტოვე. ფინიშზე მესამე მივედი.

საკავშირო შეჯიბრებამ „მშდ“-ს მრავალჭიდაში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თანაკლასელებს შეჯიბრების შესახებ დაწვრილებით ვუაბობ. ვარჯიშსაც მეტი მონდომებით განვაგრძობ. გაისადაც მივიღებ შეჯიბრში მონაწილეობას და საერთოდ, ალბათ, ფიზკულტურასა და სპორტს ველარასოდეს დავანებებ თავს.

ო. კუსინი.



ნიკოლოზ  
ზოლოტოვი  
ქართველ  
პიონერებთან







# ბორჯა

გიორგი ხაჩიანი

მხატვარი ზ. ლეინაძე.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— საით მიხვალ, პაპუნა? — დაუძახა სულხანმა.  
— ზევით! ბერო პაპა იქ არის, ტყეში...  
— მოიცა, ჩვენც მოვდივართ!

ბიჭები აედევნენ. ჭირს სიარული, მაგრამ, რაღაც უნდა დაუჭდეს, პაპუნამ უნდა მიაგნოს ბერო პაპას. „რად გამეპარა, საით წავიდა?“ — ფიქრი აღარ ასვენებდა ბიჭს. რაც უფრო მალლა აღიოდნენ, იმდენად მეტად უჭირდათ ნაბიჯის გადადგმა. ბერო პაპას ნატერფალი კი თოვლს ისევ აშკარად ეტყობოდა.

პაპუნამ შეატყო ამხანაგებს დალლა და გამოუტყადა:  
— თქვენ დარჩით, ბიჭებო, მე თვითონ მოვხაზავ.

მაგრამ ამხანაგებმა არ გაუგონეს პაპუნას. ისევ განაგრძეს ნაკვალევზე სვლა. უცებ პაპუნა შეჩერდა. სმენად იქცა, საიდანღაც თითქოს ყრუ ძახილი მოესმა.

— გესმით, ბიჭებო?!  
ბიჭები გაინაზნენ, ჩამიჩუმდნენ არ ისმოდა.

— გეჩვენება, პაპუნა, — ჩაილაპარაკა სოსომ. ახლა ის მიდიოდა პირველი. ბიჭები მალლა, სულ მალლა აიყვანა ბერო პაპას ნაკვალევმა. აქ იყო „ბეროს ტყისა“ და ძველი ტყის საზღვარი. კვალი ძველ ტყეში შედიოდა. ბიჭებს გაუჭირდათ და შეისვენეს. უცებ აშკარად მოესმათ

ძახილი. მყისვე წამოცვიდნენ. ქოშინებდნენ, ცხვირში იხვითქებოდნენ, მაგრამ უკან დახევა აღარ შეეძლოთ ბოლა.

პაპუნას მუხლებში ძალა მოემატა, სწრაფად მიარღვევდა წელამდე მომდგარ თოვლს. უეცრად სხვა ნაფეხურებიც შენიშნეს. სულხანმა აათვალიერა ისინი და დაასკვნა: ბერო პაპას ნაკვალევი მარცხნივ უხვევსო. სამი კაცის ნატერფალებს რომელიღაც ცხოველის ნაფეხურებიც მიჰყვებოდა. სულხანის რჩევით მარცხნივ, ხევისაკენ გაუხვევს. ახლა კი მკაფიოდ გაისმა ძახილი:

— ჰა, ჰაი, მიშველეთ!  
— სისხლის წვეთები! — იყვირა სულხანმა.  
— გესმით, ბიჭებო, ეს პაპას ხმაა. ჩქარა, ჩქარა, თქვენი ჭირიმე, ალბათ დაჭრილია! — აღრიალდა პაპუნა.

— პაპუნა, ეს სისხლის წვეთები ნადირისაა, აბა, კარგად დააკვირდი! აი, ბერო პაპას ნაკვალევი. ეტყობა, რაღაცას მიათრევს და სისხლი იმისია.

სულხანის ლაპარაკს პაპუნა ყურს აღარ უგდებდა. უეცრად ელდა ეცა... ხევის ნაპირთან მოზგავებულ თოვლს პაპას ნაფეხურებიც გადაეთქერა, სწორედ ამ ხევიდან ძახილი განმეორდა:

— მიშველეთ, მიშველეთ!

პაპუნა გულდაგულ მივარდა ნაპირს და გადაიხედა. ციკაბო ფერდობზე ერთ ახალგაზრდა რცხილას დაეჭირა ბერო პაპა. ჩანს, ზვავს გადაჰყოლოდა. მხრებამდე თოვლში ჩაფლულს რაღაც ცხოველი მკლავებით მალლა აეწია, თვითონ კი ზურგით რცხილას მიყუდებოდა, რომელიც უიმედოდ გადაზნექილიყო.

— აქა ვარ, ბერო პაპა! — ჩასძახა პაპუნამ.

— გამაგრდი, ბერო პაპავე!.. აბა, ბიჭებო, თოვლი უნდა გადავხვეტოთ, ბილიკი ჩავჭრათ, — დაიძახა სულხანმა. ყველანი ნიჩბებს ეცნენ, ღრმა ხევიში გამალეული ჰყრიდნენ თოვლს. კარგა ხანს იმუშავეს, დაიქანცნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწიეს რცხილამდე.

— ირმის ბიჭინია, მარჯვენა ბარკალშია დაჭრილი. წინა ფეხებში მოაბით ქამრები და ისე აათრიეთ... ფრთხილად. — უთხრა ბიჭებს ბერო პაპამ.

ბიჭებმა ჯერ მოხუცი გამოიყვანეს ბილიკზე, მერე პირუტყვი აიტანეს სამშვიდობოზე.

— ჭრილობის ზემოთ ქამარი მოუჭირეთ, სისხლისაგან არ დაიცალოს, — თქვა დაღლილ-დაქანცულმა ბერო პაპამ.

ბიჭებმა ხელში ატატებული ბიჭინი სოფელში ჩაიყვანეს.

დაჭრილი პირუტყვი ბერო პაპას სახლში დაათბუნეს. სულხანმა სასწრაფოდ მოიყვანა თავისი მამა — ვეტეკიმი. მან მაშინვე ოპერაცია გაუკეთა, ძვალთან გაჩხერილი ტყვია ამოიღო, ჭრილობა გაუკერა და შეუხვია. ტყვია თხილისოდენა, შინაკეთები იყო.

— ეს ტყვია იმას უნდა ესროლოს კაცმა, ვინც ეს საბრალეო დასჭრა! — ბრაზიანად თქვა სულხანმა.

— ვინ, ვინ დაჭრა, ბერო პაპავე? — იკითხა პაპუნამ.  
— არ ვიცი, შვილო... მხოლოდ ეს საცოდავი დავინახე. ჩემკენ მობობლავდა, კენესოდა... უკან ძალდი მოსდევდა. მე რომ შემნიშნეს, ძალღს დაუძახეს, „პრინცი, პრინცი“, და ისიც უმაღ უკან გატრიალდა.

სულხანი მიხვდა, რომ ბერო პაპა რაღაცას მალავდა. ასე მალავდა „უცკდავების წყაროსთან“ ნაპოვნ სანადირო დანასაც. „რაღაც უნდა დამიჭდეს, ის დანა უნდა ვნახო“, — გაიფიქრა სულხანმა.

— „პრინცი“?! — თვალეჭრა გაუფართოვდა პაპუნას.  
— „პრინცი“ ვისი ძაღლია?



ბიჭებმა მხრები აიჩჩეს.  
— ჩვენს სოფელში არავის არა ჰყავს ასეთი ძაღლი, —  
თქვა თემურმა.

— ბერო პაპა, რა ფერის ძაღლი იყო? — იკითხა  
სულხანმა.

— ყავისფერი ყურები ჰქონდა, თვითონ ნაცრისფერი  
იყო, ყავისფრად დაწინწკლული.

— ახლა მთავარია, ასე ფეხებშეკრული იწვეს. ჯერ-  
ჯერობით რძე დააღვეინეთ და ორი ცალი „ოქროს  
ფხვნილი“ მიეცით, სამი დღის შემდეგ წამოაყენეთ. ვფი-  
ქრობ, საშიში არაფერია, — თქვა ვეტეჩიმმა.

— აბა, დარია, რძე... ჩქარა „ოქროს ფხვნილი“! —  
გასძახა ბერომ მეუღლეს.

— ახლავე, ბერო, ახლავე!

— ექვს თვეში ხარიჩემი დადგება, მის ყურებს არა-  
ფერი ემჯობინება. შემოდგომაზე ირმის ყვირილი მო-  
მესმა ტყეში, გამიხარდა, ყველა ნადირ-ფრინველმა ინა-  
ხულა ჩემი ტყე-მეთქი. და აი...

ბიჭის ჩამით რძე დაუდგეს. პაპუნამ მიუაღერსა,  
თავზე ხელი გადაუსვა.

დაჭრილმა უხალისოდ გაახილა მიღულული თვალე-  
ბი, ტუჩები შეაკმაცუნა და ჯამფილაში რძე ენით ალოკა,  
მერე ხარბად დაეწაფა.

მალე თვალეებში სიცოცხლე ჩაუდგა, მიმოიხედა.

— ხედავ, რა ჰკვიანად გვითვალთვალეებს? დილით  
რომელიღაც ადამიანმა თოფი ესროლა, ახლა იმავე  
ადამიანმა ჰკრილობა შეუხვია, თავს ევლება. ვე-  
ღარ გაუგია ამ საბრალოს, ადამიანები ბოროტები არი-  
ან თუ კეთილნი. ალბათ მიხვდება ჩვენი ბორჯა, რომ  
ადამიანები კეთილნიც არიან და ბოროტნიც.

— ბერო პაპა, „ბორჯა“ საიდან მოიფიქრე? — იკი-  
თხა თემურმა.

— ვაჟას „ტყე ტიროდა“ წაიკითხეთ და გაიგებთ. —  
ლიბილით ჩაილაპარაკა ვეტეჩიმმა, რომელსაც საოპერა-  
ციო ხელსაწყოები ყუთში ჩაელაგებინა, თეთრი ხალათი  
გახვდა და წასასვლელად ემზადებოდა.

სულხანს ხელისგულზე ედო ტყვია და ათვალეირებ-  
და. ტყვია ჯიბეში ჩაიღო.

— მართალი ხარ, გიორგი, ბორჯა ვაჟას შერჩეული  
სახელია. რა დამავდება, რომ ჩვენც ბორჯა დავარქვათ?  
— თქვა ბერო პაპამ.

— კარგია! — წამოიძახა სულხანმა.

— ბორჯა! ბორჯა! ბორჯა! ბორჯა! — აყვირდნენ ბი-  
ჭები.

თითქოს მართლა ბორჯა ერქვაო, ბიჭინმა თავი წა-  
მოსწია, კეთილი, ლამაზი თვალეებით მიმოიხედა.

— აბა, როგორც დავარჩეთ. — თქვა ვეტეჩიმმა. —  
სულხან, მოდიხარ?

— ახლავე, მამა. როდის შევიკრიბოთ, ბიჭებო?

— ხვალ, სკოლაში.

— ამ საღამოს მაინც ამოვალ, რძეს ამოვიტან.

— მეც ამოვიტან. — წამოიძახა თემურმა.

— მოიცათ, სად მიდიხართ? — ფეხზე წამოდგა ბე-  
რო პაპა. — დარია, ქალო, რაც მოგვეპოვება, მოგვართ-  
ვი, ჩემი და ბორჯას გადარჩენა უნდა აღვნიშნოთ.

დარო ბებია, ხალისიანად დაფაცურდა.

გაკვეთილის დაწყებას რამდენიმე წუთიღა აკლდა.

პაპუნა დერეფანში, ფანჯარასთან იდგა და სკოლის  
ჭიმურისაკენ დაძაბული იქიარებოდა.

— არ გამოჩნდა? — ხმადაბლა ჰკითხა ახალმოსულმა  
თემურმა.

— არა! ალბათ, მართლა ავად არის.

— ვინ იცის. გაკვეთილების შემდეგ მივიდეთ. ბიჭებ-  
მა მოვილაპარაკეთ — ერთად უნდა მივიდეთ.

პაპუნამ შუბლი შეიკმუხნა, თემურს თვალი თვალში  
გაუყარა.

— როგორ, მე არ მენდობით?!

— ეს ყველას საქმეა.

— აჰი გითხარით, მივალ. ენახავ, რას იტყვის, მერე  
ყველა ერთად მივიდეთ-მეთქი.

— არ ვიცი, ბიჭებმა თქვეს, არ არის საჭირო ორჯერ  
მისვლაო. გაიგე, მეზობელ სოფელში ისა და მამამისი  
თურმე დინამიტით დახოცილ თევზებს ერთად ჰყიდ-  
დნენო.

— რას ამბობ! შეუძლებელია!

— ამის მოწმე გვყავს.

— სიცრუეა. საერთოდ, შენ გაზვიადება გიყვარს.

— ჰმ, ვაზვიადებ? კეთილი. გახსოვს, ბერო პაპამ დამ-  
წვარ მუხასთან დანა რომ იპოვა?

— მერე?

— მერე ის, რომ სულხანს ეჭვი აქვს — ის დანა გულ-  
ბათასი იქნებაო.

— სულხანი, სულხანი... რას აგიჩემებია! სულხანი  
ფანტაზიორია, გესმის?

— როგორ თუ ფანტაზიორი! იცი თუ არა, რომ სულ-  
ხანს ირმის ბარძაყიდან ამოღებული ტყვია აქვს... ჰოდა,  
ამას წინათ, თურმე, მამუკას წიგნის ჩანთაში ტყვიები  
ჰქონია. როცა სულხანს უკითხავს, ვინ მოგცა, რად გინ-  
დაო, უპასუხია: მამამ ჩამოასხა ყალიბშიო. ყალიბიც  
იმის მამას გაუკეთებია. ახლა სულხანმა შეადარა ტყვიე-  
ბი და ზუატად ერთი და იგივე გამოდგა ირმისათვის  
ნასროლი და მამამისის ჩამოსხმული... გაიგე? შენ კი  
თავზე ხელს უსვამ.

პაპუნა ღუმდა და დაყინებით გაცქეროდა ფანჯარა-  
ში. მამუკას გამოჩენას ელოდა, მაგრამ მამუკა იმ დღეს  
სკოლაში არ მოსულა.

იმ საღამოსვე ამხანაგებმა შინ მიაკითხეს მამუკას.  
მამუკა ოფლში ცურავდა. შუბლზე ცივი ტილო ედო.

— როგორა ხარ, ბიჭო? — ჰკითხა პაპუნამ.

— ორმოც გრადუსს ორი ხაზი აკლია... ორი დღეა,  
იწვის. — უპასუხა დადარდიანებულმა დედამ.

მამუკამ უხალისოდ შეავლო თვალი ბიჭებს, მზერა პა-  
პუნაზე შეაჩერა. ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა.

მაგრამ არაფერი უთქვამს. თვალეები მოუწყლიანდა.

პაპუნამ შუბლზე გადაუსვა ხელი, გაუღიმა:

— ავადმყოფობამ შეგაშინა?

— არა, არა, — ყრუდ ამოიგმინა მამუკამ და თავი  
უღონოდ გააქნია.

ორ თვეზე მეტი გავიდა და ბორჯა უკვე ამაყად დაა-  
ბიჯებდა ბერო პაპას ეზოში. ბიჭები საკმაოდ წამოზრ-  
დოდა, ლამაზი თვალეებით მშვიდად ათვალეირებდა  
აყრიამულეებულ ბავშვებს, რომლებიც შაქრის ნატეხე-  
ბით უმასპინძლებოდნენ. ძალიან შეუყვარდა ეს ტკბი-  
ლი სასუსნავი.

გაკვეთილების შემდეგ მამუკაც შაქრით დატენილი  
ჯიბეებით აქ ამოდიოდა და ყველაზე გვიან მიდიოდა შინ.  
ის პაპუნასთან ერთად ამზადებდა გაკვეთილებს, აქვე  
სადილობდა...





სულხანსა და თემურს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

— მომატყუე, — ბრაზობდა თემური, — ეს ტყვიასწორედ იმ ყალიბიდან არის ჩამოსხმული, რომელი ყალიბიდან ჩამოსხმულმა ტყვიამაც ბორჯა დაჭრაო... პაპუნა მას შემდეგ ფანტაზიორებს გვეძახის, გრძელა ენა გაქვთო.

— ყველაფერს მართალს ვამბობდი და ახლაც გეუბნები... ეს ორი ტყვია ერთი ყალიბიდან არის ჩამოსხმული.

სულხანმა იქვე მოაგუნდა ერთი მუჭა აყალო მიწა, დიდხანს ზილა, მერე გაასწორა, დატკეპნა და შიგ ტყვია ჩაფლო, მერე იმ ფორმაში ზუსტად ჩატია მეორეც.

— არც ახლა გჯერა?... აბა, დაინახე, ვტყუივარ?!

— მერე რა მოხდა, იქნებ ასეც იყოს, მაგრამ მამუკა იმ დღეს ავად ყოფილა. ხომ შეიძლება, დატენილი ჰილზები სხვისთვის ეჩუქებინა მამუკას მამას?

— ეგ მე არ ვიცი... ფაქტი ჯიუტია... ხომ არ გვონია, მამუკა მეჯავრება? სრულებითაც არა, მაგრამ მატყუარაა ესა მწყინს, ხოლო როცა ფაქტის წინაშე დავაყენებ, მეორედ ველორ გაბედავს ტყუილის თქმას, გამოსწორდება... მე ასე მწყამს. იცი, რომ მამუკა კვირას ავად არა ყოფილა?

— საიდან იცი? ვინ გითხრა?

— ექიმმა მითხრა. მე მხოლოდ ორშაბათს გამომიძახესო. წინა დღეს დიდი სიციხე რომ ჰქონოდა, ექიმი მათგან ასიოდე მეტრზე ცხოვრობს და, არ სთხოვდნენ ავადმყოფის გასინჯვას? მერე კიდევ — ბერო პაპას ნაფეხურები რომ მივსდევდით, ნაფეხურები იქ სამი ადამიანისა ჩანდა, მაშინ მე ყველა ნაფეხურის ზომა ავიღე, ჩუმად. ჰოდა, როცა მამუკას სანახავად მივედი, გარეთ აივანზე ორი წყვილი ძალაყელიანი ჩექმა ეწყო, ერთი დიდი ზომისა, მეორე პატარა. მე ცოტახანს გარეთ გამოვედი, ჯიბეში კანაფი მქონდა და ორივე ჩექმის ზომა ავიღე. როცა შინ დავბრუნდი, ისინი ერთმანეთს დავატოლე და...

— მერე, მერე?! — ცნობისმოყვარეობა ველარ დაფარა თემურმა.

— მერე ის, რომ ზუსტად დამითხვა.

— რა ვიცი... რა ვიცი... თითქოს მართალი ჩანხარ, — დაბნეულად ჩაილაპარაკა თემურმა.

— ჰოდა, პაპუნას კი ჰგონია, რომ მამუკა ცამდე მართალია: ავად ყოფილა და, აბა, როგორ წამოვიდოდა ტყეშიო. მხოლოდ ერთი რამეა დასადგენი და, მერე ვნახოთ ვინ არის ფანტაზიორი.

— რა, რა არის დასადგენი?

— ვერ გეტყვი, — თავი გაიქნია მალხაზმა, — შენ პირში ხომ არაფერი გაჩერდება.

— გეფიცები, არავისთან წამომცდება, — ყელი წამოუწვია თემურმა.

— „პრინცი“ კვალს მივაგენი.

— მართლა? სად, როგორ?

— ერთი ჩემი ნათესავი წნორელი ბიჭი ამ წინეებში ჩვენსა იყო და იმან მითხრა, „პრინცი“ ჩემი მეზობლის ძაღლიაო. კვირას მივდივარ წნორში. ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ.

— მეც წამოვალ, სულხან!

— კარგი, წამოდი. ერთ საიდუმლოებასაც გეტყვი, ოღონდ არც ეს უთხრა არავის.

— სიტყვას გაძლევ, არავისთან გავამხელ.

— გახსოვს, მუხის ცეცხლის წაკიდებაზე რომ გვიამბო ბერო პაპამ? მაშინ იქ მას სანადირო დანა უპოვნია, ის დანა მამუკას მამისაა.

— მაშასადამე, მამუკას მამამ მოუყიდა ცეცხლი?

— ჰო, ეგრე გამოდის... ალბათ, ნანადირევი ჰქონდათ, მუხის ძირას ცეცხლი ანთეს და მწვადები შეწვეს...

— რა იცი, რომ ის დანა გულბათასია?! — გაკვირვებით იკითხა თემურმა.

გავიდა ზამთარი. ზამთარს გაზაფხული მოჰყვა, ზაფხულიც მიიწურა. ბორჯა გაიზარდა, რქები დაუმსხვილდა. დამშვენებული ხარიჩემი საძროხეში აღარ ეტეოდა, ღია გომურში უშვებდნენ ღამლამობით.

შემობრძანდა გულუხვი შემოდგომა, და ბორჯას ტყეში გაშვების დღეც დადგა.

ბევრს წუხდნენ ბერო და დარია, მაგრამ რა ექნათ, ბუნება თავისას ითხოვდა. იმ დილას პაპუნამ ბერო პაპას სთხოვა, ბორჯა უჩვენოთ არ გაუშვა, ყველამ უნდა გავაცილოთო.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მთელი სკოლა ამოვიდა ბერო პაპასთან. მალე სოფელმაც აქ მოიყარა თავი. დღეს პირველად უხსნიდნენ ჭიშკარს დავაჟიკაბულ ხარიჩემს.

პაპუნა და მამუკა მივიდნენ ეზოში ამაყად მოსიერნე ბორჯასთან, შაქრით გაუტენეს პირი. ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. გულდათუთქული ბერო პაპა საჩხების ღირებე იჭდა. დარო ბებიას გულზელი დაეკრიფა და ბეროს გვერდით ბოდს მიჰყუდებოდა თვალტრემლიანი.

გაიხსნა ჭიშკარი. ბორჯა ერთხანს გაიჩინდა, კისერი დაეჭიმა, რქები ბეჭებზე გადაიყარა. ერთი კი ვადახედა ბერო პაპას და დარო ბებიას, მერე ჭიშკარში გავარდა და შურღლევივით გაიქროლა ციკაბო სერზე; „ბეროს ტყის“ პირას შეჩერდა, თავი მოაბრუნა, ერთხანს თუქირა ეკლესიის ეზოში თავმოყრილ გოგო-ბიჭებს, თითქოს მადლობას უხსნიდა მზრუნველობისათვის, და ტყეში გაუჩინარდა.

ბერო პაპამ ზუსტად იცოდა, როდის დაძვრებოდნენ ბრაკონიერები, შეუმცდარად იცოდა მათი საიდუმლო ბილიკები, ისიც კარგად უწყობდა, რომ ბრაკონიერები დილაადრიან აცხრებოდნენ თავს ახალგამოღვიძებულ ხობებსა თუ შვლებს. ამიტომაც იყო, რომ ალიონზე მიდიოდა ხოლმე ტყეში თოფმომარჯვებული.

ის-ის იყო ბერო პაპა ხევის პირიდან თავქვე დაეშვა, რომ ფაჩიფუჩი მოესმა. სასწრაფოდ ჩასაფრდა, იქვე მაყვლის ბარდებს ამოეფარა. ვილაკები მოდიოდნენ. ოთხნი იყვნენ. ბერომ იცნო და ჩაეცინა.

— ხელები მალა! — ბუჩქებიდან მხოლოდ თოფის ლულა გამოჩნდა.

შეშინებულმა ბიჭებმა ხელები ასწიეს.

მხოცი სიცილით წამოვიდა მათკენ.

— ბერო პაპა! — იყვირეს გახარებულმა ბავშვებმა.

— საიდან მოდიხართ, ბიჭებო?

— მელორეობის ფერმიდან, — მიუგო სულხანმა, — იქ გუშინ საღამოს მელორე ქიტესა შეგვხვდა, შემოგჭივლა, — ღორი დავკარგე თავის გოჭებთანადო. ჩვენ ვიპოვეთ. აი, სულ მალა, ბებერ მუხებთან. — თქვა სოსომ.

— ყველა ჩამოვალეთ?

— ჰო, ქიტესა სიხარულით აღარ იყო. ხმაიდას და მწონზე დავგვატყუა, — იღიმებოდა თემური.

— ბერო პაპა, ერთი სათხოვარი მაქვს, — მორიდებულად წარმოთქვა სულხანმა. — აი, ის დანა გვაჩვენეთ, „მუხის წყაროსთან“ რომ იპოვეთ.

— რად გინდა, შვილო, აგერ, აქა მაქვს ის დანა.

— ისე, უბრალოდ, გვაინტერესებს.

ბერომ ქამარზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან დანა ამოიღო და სულხანს გადასცა. ბიჭებმა ერთხანს ათვალიერეს, მერე სულხანმა უკან დაუბრუნა ბერიკაცს.

— ბერო პაპა, ძალიან გთხოვთ, გაუფრთხილდით ამ დანას, ნურავის მისცემთ.



ბერო ჩაფიქრებული მიუახლოვდა სულხანს, თვალებში ჩახედა.

— იცანი?! —

— ვინ იცანი, ვისია დანა? — იკითხეს გაოცებულებმა.

— ყველაფერს გაიგებთ თავის დროზე, — დააშოშმინა ამხანაგები სულხანმა.

რამდენიმე წუთს გაოგნებული იდგა ბერო, მერე გულმა ველარ მოუთმინა და სულხანი განზე გაიყვანა.

— მაშ ის არის, ბიჭო?! —

— ჰო, ის არის, ბერო პაპა.

— როგორ გაიგე?

— ამას წინათ მამუკამ მითხრა, ძალიან კარგი სანადირო დანა გვქონდა და მამაჩემს დაეკარგაო. ნიშნები ვკითხე, იქნებ სადმე წავაწყდეთ-მეთქი. ტართან ანაფხეკი აქვს, იმ აფხეკილზე ჩემი სახელის პირველი ასო წერიაო. ბერიკაცმა ხელი მხარზე დაადო სულხანს.

— ყოჩაღ, შვილო, ჯავრი არ გამაყოლე!..

მე მაქვს... ბერო პაპა დაგვიდასტურებს, რომ ბერიკაცი დაჭრის დროს მამუკაც იქ იყო.

— როგორ, პაპაჩემმა დაგვიდასტურაო?! —

— დაუნახავს, როგორ გარბოდნენ მამუკა და მამამისი.

ამ გაცხარებულ საუბარში ბიჭები ისე მისდგომოდნენ ბეროს ჭიშკარს, რომ არ შეუძინევიათ. მოხუცის დანახვაზე მოეგენ გონს.

ბერო ჭიშკართან ქვაზე ჩამომჯდარიყო და აბოლებდა.

— პაპავ, სულხანი მართალს ამბობს, პაპაშენმა დანახა მამუკა და მამამისიო? — ათრთოლებული ხმით იკითხა პაპუნამ.

— ჰო, მართალია, შვილო, ჩემი თვალით დავინახე, მაგრამ არ გითხარი, მეგობრები ხართ და იქნებ თვითონ გამოგიტყდეს-მეთქი, — დინჯად ჩაილაპარაკა ბერო პაპამ.

— თქვი, კიდევ არა გჯერა? — ჰკითხა სულხანმა.



— სულხან, მამუკა თავს იმართლებს, ირმის დაჭრის დროს შე ტყეში არ ვყოფილვარო. შეგიძლია დაუმტკიცო, რასაც ამბობ? — ჰკითხა პაპუნამ სულხანს, გაკვეთილების შემდეგ შინ რომ ბრუნდებოდნენ.

— „პრინცი“ ვიპოვეთ.

— მე მამუკაზე გეკითხები.

— ყური მიგდე... მამუკა, მამამისი და წნორელი მე-ბორნე ოჭილო სანადიროდ წასულან და ოჭილოს „პრინცი“ თან წაუყვანიათ. მივაგენით ადრინდელ აქტს, რომელიც მამუკაზე და მამამისზეა შედგენილი. ალაზანში თევზის დახოცვისათვის დაუჯარიმებიათ.

პაპუნა გაოცებული შეჰყურებდა სულხანს.

— ნუთუ ეს ყველაფერი მართალია?

— ტყვიები ერთმანეთს დაემთხვა, — განაგრძო სულხანმა, — თოვლზე ნატერფალი და მამუკას ჩექმის ზომა ერთნაირია... ბერო პაპამ სანადირო დანა რომ იპოვა „მუხის წყაროსთან“, ის მამუკას მამისა აღმოჩნდა. დანა

— მეტი რა გზა მაქვს, უნდა დაგიჯერო, — მიუგო პაპუნამ სინანულით.

— როგორ მოვიტყეთ?

— არ ვიცი, სულხან, რა გითხრა.

გადაწყვიტეს, ჯერ მამუკას მოლაპარაკებოდნენ.

მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, პაპუნამ მკლავში ხელი მოჰკიდა მამუკას და გაბზარული ხმით უთხრა:

— წამოდი ჩემსას, შენთან საქმე გვაქვს. სულხანი და თემურიც ამოვლენ და საბოლოოდ გადავწყვიტოთ.

— რა უნდა გადავწყვიტოთ! ვიცი, ისევე სულხანის ჭორებზე უნდა მელაპარაკოთ. რას დამდევს, რა უნდა ჩემგან!

— ამოდი, ვილაპარაკოთ. თუ გამტყუნდა, სულხანი ბოდიშს მოგიხდის, შენ კარგად იცი იმისი ხასიათი, აუცილებლად მოდი.





### ქ ა ნ ა ე ლ ა

ჩემი ბაბუ მეტყევეა,  
ზამთრობითაც დადის ტყეში.  
ჯერ არ იცის, რაა შიში,  
არც უგრძენია თავის ღღეში.

ხეებს, თოვლით დამძიმებულს,  
როგორ შველის იცით განა?  
თოვლს უბერტყავს ტოტებიდან,  
ხმელ-ხმელ შტოებს აჭრის თანაც.

გარეული ნადირისთვის  
სასუსნავიც მიაქვს ბლომად,  
რომ ცხოველი არ დაიმშეს,  
დიდი თოვლი როცა მოვა.



ჩემი მოსვლის ამბავი  
საწნახლებსაც ახარეთ,  
ჭურ-მარანიც გახეხეთ,  
სულ კრიალა გახადეთ.

ჩემი ბაბუ თოვით მხარზე  
ტყეში დადის ზამთარ -ზაფხულ,  
შინ მოვა და მოგვიყვება  
ათასნაირ ამბავს ზღაპრულს.

### შ ე ქ ი ლ ა

ჩამოსხენით ბელღების  
დარაზული კარები,  
ნალიებსაც უთხარით:  
თქვენსკენ მოვეჩქარები!



### ქ ა ნ ა ე ლ ა

— მწყემსო, მწყემსო გოგინაო,  
რა გიგია ლოგინადო?  
— ბალახბულასს ძირს გავიშლი,  
თავქვეშ ვიდებ თივის ზვინსო,  
საბნად ღრუბელს წავიხურავ,  
რა სჯობია ასეთ ძილსო!  
— მთაში მგლები რომ არიან?  
— ჩემი მცველი კომბალია,  
არაფრის არ მეშინია,  
ნაგაზი მყავს ბომბორაო,  
აბა, ერთი მომიხტენ და,  
ნახონ, წავლენ როგორაო.

სალამო ხანს პაპუნასა და მის მეგობრებს უკლებლივ  
მოეყარათ თავი ეკლესიის ეზოში. ღელავდნენ.

— მოდის! — დაიძახა თემურმა.  
მამუკა დინჯად მიუახლოვდა ბიჭებს და დაჯდა.  
— დაიწყე, სულხან! — უთხრა თემურმა.  
— ბორჯას დაჭრის დროს მამუკა იქ ყოფილა...  
— ჰო „პრინციც“ ვიპოვეთ, — დაუმატა თემურმა.  
— „პრინცი“, თქვენ რომ იპოვეთ, ფრინველზე მონა-  
ღირე ძაღლია, ნადირზე არ მიჰყავთ, — თქვა მამუკამ  
მშვიდად.

— თევზები რომ გაწყვიტეთ ალაზანში, შენ და მამა-  
შენს აქტი რომ შეგიდგინეს, ამასაც უარყოფ? — უთხრა  
სულხანმა.

— ჯარიმაც გადაიხადა მამაშენმა, — დასძინა თე-  
მურმა.

მამუკა ღუმდა.  
— მამაშენი რომ ბრაკონიერია, ტყუილია?

— ჰო, ერთხელ, ადრე, ტყეში შეშაზე იყო... შველმა  
წინ გაუბრინა და რა ექნა, არ ესროლა?! აბა შენ იყო  
მონადირე, არ ესროდი?

— არა! — იყვირა სულხანმა.  
— არა! — კვერი დაუკრეს თემურმა და პაპუნამ.

თემურმა დანა შეათამაშა ხელში... დაბლიდან ჩხირი  
აიღო და თლას შეუდგა ისეთნაირად, რომ მამუკასათვის  
შესამჩნევი ყოფილიყო.

— უნებართვო ნადირობა ბრაკონიერობაა, — ჩაილა-  
პარაკა თემურმა და დანა მაგიდაზე დადო. მამუკამ ავა-  
ლი გააპარა. დიდხანს გარინდებული უცქერდა, მერე  
ველარ მოითმინა:

— ვინ მოგცა ეს დანა?!

სამთავემ ერთმანეთს გადახედა. ხმა არ ამოუღიათ.

— ვინ მოგცა ეს დანა-მეტქი!  
— მე მივეცი, — უთხრა სულხანმა.  
— ეს დანა პაპაჩემმა იპოვა „მუხის წყაროსთან“, მოხა  
რომ დაიწვა. ამ დანის პატრონმა წაუქიდა ცეცხლი მუ-  
ხას, — დაუმატა პაპუნამ.  
— მამუკა გაფითრდა, არ იცოდა რა ეთქვა, რა ეპასუხა.  
მერე ფეხზე წამოიჭრა და ისეთი სისწრაფით გაიქცა, რომ  
ბიჭები ერთხანს შეფიქრიანდნენ კიდეც...

ღრმა ძილით ეძინა სოფელს. მხოლოდ დარო ბებია  
მოუსვენრობდა ლოგინში, წუხდა — ის ბერეკაცია სად  
არის აქამდე, ხომ არაფერი შეემთხვაო.

გვიანი შემოდგომის წვიმა ცრიდა. წყვედიანი ჩამოწო-  
ლილიყო. მელორეობის ფერმას ვილაცის ლანდი ეპარე-  
ბოდა. ძაღლებმა ყეფა ატეხეს. ლანდი წიფლის ხეს აეკრა  
და გაინაბა. როცა ყეფა შეწყდა, ისევ შეიბრა, ამოძრავ-  
და, მიაყურადა, მერე ფერმას ეზოდან ფრთხილად შე-  
მოუარა, კარებს მიუახლოვდა, მიიხედ-მოიხედა.

ფერმას ორი კარი ჰქონდა. ერთი კარი ლორების სად-  
გომში შედიოდა, მეორე — მწყემსების ბინაში.

უცნობი მწყემსების კარისაკენ შეტრიალდა. ეზოში  
დიდი მურყანი იდგა. მურყნის ძირას რომელიღაც ცხო-  
ველის ფრუტუნი გაისმა. ლანდი იქით გაეშურა, მაგრამ  
ნაგაზებმა საშინელი ყეფა მორთეს. მწყემსი დაფეთებუ-  
ლი წამოვარდა. უცნობი ხის ძირას გაიტრუნა. ძაღლე-  
ბის გაავებულ ყეფაზე მელორე მიხვდა, რომ ვილაცა  
უცხო იყო, ძაღლებს რომ ასეთი გნიასი შეუდგათ. მწყე-



მსმა თოფს დაავლო ხელი და ფეხაკრეფით გავიდა გარეთ. ძალიან ფრთხილად ეპარებოდა მურყანს, რომელზედაც ბორჯა იყო მიბმული. ძალიან მკრთალად, ლანდევით დაინახა — ვიღაც ირემს რქებზე ეხვეოდა. ახლა კი გააფთრდა მწყემსი. ეჭვი აღარ ეპარებოდა გულბათას თაღლითობაში.

— რას სჩადიხარ, გულბათა! — დასჭყვივლა მწყემსმა. უცნობი ბორჯას წინ გაშეშდა. პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ მწყემსის ღონიერ მკლავებში მოექცა...

ამ დროს გულბათა და ოჭილო აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვებოდნენ ღორების ფერმისაკენ მიმავალ გზას.

— ყოჩაღ, გულბათა, ყოჩაღ! ჩავიტანთ თუ არა, ათას მანეთს გადმოგვითვლიან; მაინც როგორ დაგენბდა, ჰა?

— მსხალგორაზე შეველს ჩავუსაფრდი. უეცრად შორიდან თვალი მოგკარი. ვიცანი. ალბათ, იმანაც შემამჩინია, რომ ჩემკენ წამოვიდა. ორნი იყვნენ, მეორემ ვერ გაბედა წამოსვლა... დავუძახე: „ბორჯა, ბორჯა!“ უმალ ჩემკენ გამოიქცა. მივეფერე, ცოტაზე გამომყვდა და მერე წავიდა. გამახსენდა მამუკას ნათქვამი, შაქარი უყვარსო, და მეორედ ჩავუსაფრდი. გამოჩნდა ბორჯა. შაქრის ჭამით „ბეროს ტყემდე“ ჩამომყვდა. რქებზე თოკი რომ მოვაბი, ცოტა ეხამუშა. ისევ შაქარმა მიშველა, ძლივძლივობით მივიყვანე ყანყრიამდე.

მწყემსების ბინას მიუახლოვდნენ. ძაღლები ისევ გაავდნენ.

— გესმის?! — ხმამალა თქვა ოჭილომ, — ყანყრიასთან რაღაც ამბავია...

მურყანის ძირში მწყემსი ყანყრია უცნობს ხელებს უბაწრავდა, თან ფეხებით უმოწყალოდ სცემდა.

— იპარავდი, ჰა? მე შენ გიჩვენებ, შე... — იგინებოდა მწყემსი.

ოჭილომ დანა მოიმარჯვა. გულბათამ მგელივით მიირბინა ირემთან.

— ვინ არი, ყანყრი?! — შეუძახა ოჭილომ.

— ვერ მიცვნი ეს ლაწირაკი, დამქანცა. უხ შენი... — ფეხი გამეტებით ჩასცხო იქვე, ხის ძირში დაგდებულ ხელბეჭერულ უცნობს.

— ვინა ხარ?! — იღრიალა გულბათამ და უცნობი ფეხზე წამოაყენა, შემოაბრუნა და ერთბაშად გაშეშდა.

— მამუკა?! შვილო! — ძლივს ამოთქვა, მერე ხელები გაუხსნა, ოთახში შეიყვანა. ოჭილო და ყანყრიაც შეჰყვნენ.

— ბორჯას ნახვა მოგენატრა, მამუკა? — მოჩვენებითი ალერსით უთხრა ოჭილომ.

მამუკა მხოლოდ თვალებს აბრიალებდა და კრინტს არა სძრავდა.

— ნმა ამოიდე, ბიჭო! — ეფერებოდა მამა. — აგერ, ტახტზე წამოწევი.

მამუკა დაჰყვა მამის ნებას და წამოწევა.

— ყანყრი, შენ და გულბათა ზევით ახვალთ, ბებერი მუხის ძირში ორმოს ამოიღებთ, — გასცა ბრძანება ოჭილომ. — ღრმად ამოთხარეთ, რქები უნდა ჩაეტოს. მე ირემს მოვუვლი. ნახევარ საათში მზად იქნება.

ოჭილომ ცული აიღო და კარისაკენ გატრიალდა.

მამუკა გიჟივით წამოვარდა, კარებს აეფარა და სასოწარკვეთით იყვირა:

— ბორჯას ვერ დაკლავ!

ოჭილოს ღიმილმა შეაშინა გულბათა. ამ ღიმილს სისხლი მოსდევდა ხოლმე. უბედურება განეზრახა კაცის მკვლელს. სამჯერ გადასახლებული იყო. ერთხელ ქუჩის დროს დასიკვდილოდ დასჭრა კაცი. თავისი სი-

ცოცხლე ავაზაკობასა და პატიმრობაში გაატარებულ ცხოვრებას ახლაც ძველებურად გაიღიმა ოჭილომ, გულბათას შვილს კი არა, საკუთარ დედას არ დაინდობდა, თუ ვინმე ხელს შეუშლიდა თავისი განზრახვის აღსრულებაში.

მან ცული შეათამაშა ხელში. გულბათას საშინელმა ფერმა გადაჰკრა...

— ხელები მალა! — გაისმა მოულოდნელად.

მამუკამ უმალ იცნო ბერო პაპა. ბერიკაცს ორულლიანი თოფი პირდაპირ ოჭილოსაკენ ჰქონდა მიშვერილი. თითქოს მიწიდან ამოძვრენო, მილიციის ორი მუშაკი ეძგერა ოჭილოს და ყანყრიას, თვალისდახმამებაში განაიარაღეს.

— გმადლობ, ჩემო ვაჟაკო! — ბერომ მკერდზე მიიკრა ბიჭი.

მამუკას ტირილი აუვარდა.


— დაწყნარდი, შვილო. ჩვენ დიდი ხანია ჩასაფრებულები ვართ. მე ვნახე, მამაშენმა შაქრით როგორ მოიტყუა ბორჯა. ისიც კარგად დავინახე, შენ რომ გამორბოდი. ყველაფერი დავინახეთ, მამუკა, ყველაფერი.

— ბერო პაპა, ჩემო ბერო პაპა! — ეხვეოდა აქვითი-ნებული მამუკა.

გულბათა კედელს მიყრდნობოდა, თავი ჩაეჭინდრა, დამუნჯებულიყო...







რკინიგზის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შექმნეს ტიურ ბარათს სწორედ ამგვარი რაზმის...



შუალო სკოლის გადაძახილის „სარკიდან“:

„მესამეკლასელები შეჯიბრებაში ვიწვევთ მეოთხეკლასელებს და ვიღებთ შემდეგ ვალდებულებებს:

არ გვეყოლება არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო.

შევისწავლით პიონერული ორგანიზაციის ისტორიას.

მონაწილეობას მივიღებთ საკავშირო შაბათობაში.

მივიღებთ მონაწილეობას კენკროვანთა ნაყოფის შეგროვებაში.

ჩაგატარებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი მიძღვნილ მხატვრულ დილას...“

მირონ ხარბიანი

# საშუალო სკოლის მოსწავლეები

სულ რამდენიმე საათი გავატარებთ ბორჯომის რკინიგზის მეექვსე და ქალაქის მეოთხე საშუალო სკოლების პიონერ-მოსწავლეებთან. იქაც და იქაც ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილი — „სწორება კომუნისტებზე!“, შევეხეთ მასთან დაკავშირებულ უამრავ საკითხს... მოსწავლეები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს ამ საყოველთაო ღონისძიების თაობაზე. მათი ათასი ჩანაფიქრი მჭლავნდებოდა ჩემს თვალწინ. ზოგიერთს უკვე შეესხა ხორცი და საქმედ ქცეულიყო.

მე თვალნათლივ ვგრძნობდი, რა უზღვაო ენერჯით იყო დამუხტული ნორჩთა გულები, რაოდენ დიდი შემართება და „სიკეთის ქმნის“ სურვილი დაუფლებიათ ამ დღეებში. გადაძახილს ახალი ძალები შთაებერა ნორჩებისათვის, ახალი გზები და სამოქმედო სივრცეები გაეშუქებინა.

„სწორება კომუნისტებზე!“ — პიონერებისათვის ნიშნავდა უფროსთა მხარდამხარ სიარულს, მათ გვერდით შრომას, მათგან ნდობასა და პატივისცემის გრძნობას, და ეს შრომის, პასუხისმგებლობის, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, თვითკონტროლის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ამაღლებულ განწყობილებას ჰბადებდა.

ბავშვები ხალისიანად ყუებიან თავიანთ საიუბილეო საქმეებზე, გადაძახილის პირველ ეტაპზე აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, მომხდარსა და მოსახდენზე, მომავლის ამოცანებზე, საქართველოს კომკავშირის 31 ყრილობის შესახებ დრად მზადებაზე.

საინტერესოა, რა შრომითი მიღწევებით ეგებება იუბილეს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილის — ბორჯომის ხეობის მოწინავე სკოლების — რკინიგზის მეექვსე და ქალაქის მეოთხე საშუალო სკოლების პიონერ-მოსწავლეთა მთელი არმია.

აი, ამონაწერი რკინიგზის მეექვსე სა-

ამ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას კომენტარს უკეთებენ თვითონ ბავშვები. „სარკის“ ერთ-ერთი ავტორი — მესამეკლასელი პიონერი, მარჯვენაფლანგელი რაზმელი ხათუნა გლუნჩაძე:

„ჩვენი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის მთელს რაზმში მტკიცე დისციპლინა და სანიმუშო აკადემიური მოსწრება მიგვაჩნია აუცილებელ პირობად. ამიტომაც თავში ეს ამოცანა წარუშმდღვარეთ ჩვენს ვალდებულებებს“.

„სწორება კომუნისტებზე!“ გულისხმობს უფროსი თაობის სასახლო საქმეთა გაგრძელებას, ახალგაზრდა თაობების მიერ მის კიდევ უფრო სრულყოფას, ავალებს პიონერებს შრომითი ჩვევების გამომუშავებას. ამას წინათ ჩვენი სკოლის მეოთხეკლასელმა პიონერ-მოსწავლეებმა მოვაწყვეთ დიდი



შაბათობა. ჩვენი სკოლის ეზოს სპორტული მოედნის მხრიდან ზღუდე ჩანგრეული ჰქონდა. ბიჭებმა ააგეს და კედელი შეაკეთეს, ხოლო გოგონებმა დაასუფთავეს ეზოს ტერიტორია. მართალია, დავიქანცეთ, მაგრამ გვიხაროდა, რომ კეთილი, სასარგებლო საქმე გავაკეთეთ, კუნთებიც გავიკაჟეთ, სკოლის ტერიტორიაც მოვალამაზეთ. სპორტული მოედანი წესრიგში მოვიყვანეთ. ამიერიდან ჩვენი ფრენბურთელები და კალათბურთელები ვეღარ იტყვიან — პირობები არ გვიწყობს ხელსო...“ — ბორჯომის მეოთხე საშუალო სკოლის ვ. ტერეშკოვას სახელობის რაზმეულის მოწინავე პიონერები: პასა ბერიძე, ირმა ბობოხიანი, მარინე პაქსაშვილი და გია გელაშვილი.


„მივიღებთ მონაწილეობას კენკროვანთა ნაყოფის შეგროვებაში. შევაგროვებთ ჯართსა და მაკულატურას.

განვიხილავთ ახალ კონსტიტუციას...“ — ამონაწერი რკინიგზის მე-ნ საშუალო სკოლის მეხუთეკლასელთა საოქტომბრო ვალდებულებებიდან.

მოწინავე პიონერების, ამ ვალდებულებათა ინიციატორების — ჰობა გობლაძისა და ნინო იობაშვილის კომენტარი:



რკინიგზის  
მე-6 საშუალო  
სკოლის  
თეძუაჩელაძე  
მარინე  
კურტანიძის  
ეზოში  
შრომა  
გაუჩაღავით.



მე-4 საშუალო  
სკოლის  
მეხუთე-  
კლასელა  
მარია  
გაგლოშვილი  
თავი  
გამოიჩინა  
ასკილის  
შეგროვებაში.

ბორჯომი გეოგრაფიული მდებარეობით მაღალმთიან რაიონთა რიცხვს განეკუთვნება. აქ არ ხარობს ვაზი და, რა თქმა უნდა, ციტრუსოვნებიც, სამაგიეროდ, ჩვენს ტყეებში უხვად არის გაფრცვლებული კურკოვანი კულტურები. ჩვენმა კლასმა ივალდებულა ასკილისა და რკოს შეგროვება და შეჯიბრებაში გამოიწვია მეხუთე „ა“ კლასელები. რა სჯობს შემოდგომით ნაირფერად აფერადებულ, სურნელებით გაჟღენთილ ტყეში სიარულს! თან ჯანმრთელობას იკაჟებ, თანაც საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეში მონაწილეობ, შენი წვლილი შეგაქვს სახალხო დოვლათის დაგროვებაში. ჩვენი კლასი ქვეყნის ძირითად კანონს რომ ეცნობოდა, იქ მითითებული იყო ნორჩ თაობაში შრომითი ჩვევების გამომუშავებაზე. საქართველოს ახალგაზრდების გადაძახილში — „სწორება კომუნისტებზე“ აგრეთვე ნათლად არის ნათქვამი: „საქა-



რთველს კომკავშირი დამკვერთვით შრომით, მუშაობის მაღალი ხარისხით, ზეჯითი სწავლით აღნიშნავს ხარისხისა და ეფექტიანობის მეორე წელს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამე წლისთავის საიუბილეო წელს...“ რკინიგზის მეექვსე საშუალო სკოლის პიონერები საქმით დავამტკიცებთ ჩვენს ერთგულებას ამ მოწოდებისადმი“.

„ბორჯომის მეოთხე საშუალო სკოლის, ვალენტინა ტერეშკოვას სახელობის რაზმეულის წევრები მუშაობას ვაგრძელებთ დღეისათვის — „მივდივართ ლენინის გზით, ოქტომბრის გზით!“, ვსწავლობთ ჩვენი სამშობლოს ისტორიას, კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის გმირულ ტრადიციებს, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ისტორიას. შევისწავლეთ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, გამოვეხმაურეთ საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილს — „სწორება კომუნისტებზე!“, მის შუქზე გარდავქმენით ჩვენი საქმიანობა — ჩავატარეთ რაზმეულის შეკრებები — „ჩვენი გულები სამშობლოსათვის ძვერს“, „როგორ ვასრულებთ პიონერთა კანონებს“, მოვაწყეთ ვიქტორინები — „როგორი ადამიანია ლამაზი?“, „რა არის ბედნიერება?“, ყოველი კვირის ბოლოს პიონერულ კლასებში ვაჯამებთ შედეგებს და გამარჯვებულ რაზმს გადავცემთ გარდამავალ ალამს. რაზმეულმა აიღო ვალდებულება შეეგროვებინა ასკილი, მაკულატურა, შავი ლითონი. ამ ვალდებულებებს ვასრულებთ. ჩავატარეთ შიდა სასკოლო ოლიმპიადა ჭადრაკში, შაშში, სირბილში.“

სოცშეჯიბრებაში გამოვიწვიეთ ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისის საშუალო სკოლის რაზმეული“ ლია პაპიძე, მირაბ ღოიჯიშვილი, ირმა არუთინოვა, შვაბ ბოგოლამი, მაია ხუციშვილი.

„არ გვავიწყდება მარტოხელა მოხუცების, ინვალიდების მიხედვა და პატრონობა. ერთ-ერთი მათგანია შინმოსვლელი გმირის დედა — მარიამ კურტანიძე. სკოლის ფოიეში ალბათ შეამჩნევდით დიდი სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილ სტენდს. იქ ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილი ომიდან

მშვიდობით დაბრუნებულნი და შინმოსვლელი ვაჟკაცები. დედა მარიამის შვილი ჩვენი სკოლის აღზრდილი იყო. ახლა მარიამი ოთხმოცდაროი წლისაა, არავინ არა ჰყავს მიმხედავი. დავრდომილია ყველანაირად ვცდილობთ მხარში ამოვუდგეთ, გავამხნევოთ. ყოველწელს, რვა მარტის დღესასწაულზე საქმეებით ვეახლებით ხოლმე, ისე კითხვების ყოველდღიურად ვაკითხავთ, ვუჭრით შემას, ვუზიდავთ წყალს...“ — ლია კუთხაშვილი, ლია ბლიაძე, ბია მზია და ია მესხბი.

„რაზმეულში კლასების მიხედვით შექმნილია თემურელთა რაზმები, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან მარტოხელა ადამიანებს. კლარა ლიუბიმივას სიარული უკვე აღარ შეუძლია და ჩვენი პიონერები ეხმარებიან საოჯახო საქმეებში, გოგონები დიასახლისობენ, ხოლო ვაჟები ზამთრისათვის შემის მარაგს უმზადებენ. მეორე ოჯახი ლუბა გაგლო-

ხოლმე“, — თემურელთა რაზმის ხელმძღვანელი ლია პაპიძე.

„ჩვენ სკოლას ერთი კარგი ტრადიცია აქვს, რომელიც თავისი შინაარსით შედარებით ესადაგება საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილის დებულებებს, კერძოდ, ნორჩების მჭიდრო კონტაქტებს „კომუნისმის ერთგულ ჯარისკაცებთან“. ყოველ 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს, ვმართავთ ხოლმე „სიმამაცის გაკვეთილებს“. რაზმეული გაკვეთილებზე იწვევს ომის ვეტერანებს — 414-ე დივიზიის ყოფილ მეთარს ვიქტორ კიკნაძეს, სამამულო ომის გმირს შურა ინსარაძეს, ჩვენი სკოლის აღზრდილს შალვა აბაშიძეს, ალექსანდრეს, ორი შინმოსვლელი შვილის დედას ელენე ხარატიშვილს და სხვებს. მათთან საუბარი ჩვენთვის დიდად საინტერესო და სასარგებლოა. მამაც მებრძოლებთან, სახელოვან კომუნისტებთან შეხვედრას მუდამ დიდი სი-

ბორჯომის მე-4 საშუალო სკოლის პიონერები ხშირად აწურობენ სკოლის ტერიტორიაზე. უმცვენიას ნორჩები თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს.



შვილისა გახლავთ. მასაც ჩვენი თემურელები უწვევენ დახმარებას. მისი შვილი დიდი სამამულო ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. მოხუცს ძალიან უყვარს სამამულო ომის თემაზე დაწერილი წიგნები. ამიტომაც, ჩავიგდებთ თუ არა ხელში რაიმე საინტერესო ნაწარმოებს ომის შესახებ, ლუბა დედას ვუკითხავთ

ხარულით ველოდებით ხოლმე. ამ დღეს მოწვეულ სტუმრებს ვაცნობთ ჩვენი სკოლის წითელკვანძაშვილებთან საქმიანობის შედეგებს, ყველაზე საინტერესო მომენტებს მიმოწერებიდან. შარშან, მაგალითად, ჩვენი სკოლის პიონერების დახმარებით, მათი მონდობის წყალობით აღმოვაჩინეთ ჩვენი რაი-



ონის მკვიდრის, შინმოუსვლელი გმირის ერონის ინაურის საფლავი ივანოვო-ფრანკოვსკში. იქაურ ბავშვებთან ამჟამად რეგულარული მიმოწერა გვაკავშირებს და არა მარტო იქაურებთან, აი, დღესაც ოთხი წერილი მომივიდა ჩემი მეგობრებისაგან...“ — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე მაია პაიჭაძე.

„მშობლიური კუთხის ისტორიის შესწავლა პატრიოტულ მოვალეობად მიგვაჩნია. ამიტომაც გადავწყვიტეთ ნორჩ ისტორიკოსთა ჯგუფის დაარსება. მისმა წევრებმა დავათვალიერეთ რაიონის ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ადგილები, ციხე-სიმაგრეები, ჩავიწერეთ თქმულებები, ლეგენდები. ძალიან საინტერესოა ქალაქის შემოგარენში არსებული სამი მთავარი ციხის შესახებ არსებული თქმულება. ეს ციხეები, ამ თქმულების მიხედვით, სამ ძმას ეკუთვნოდა — ერთია გოგიას ციხე, რომელიც უშუალოდ ბორჯომს დაჰყურებს თავს, მეორე — ტაშისკარის მხარეს მდებარე სალის ციხე, მესამე — პეტრეს ციხე. პირველი გებულობდა სამხრეთიდან შემოჭრილი მტრის ურდოების გამოჩენას და მის შესახებ ამცნობდა გოგიას ციხეს. ეს უკანასკნელი კი სალის ციხის საშუალებით საშიშროებას ატყობინებდა ტაშისკარსა და ქართლის სხვა სოფლებს.

ლაშქრობის მონაწილე პიონერები მრავალჯერ ჩავფიქრებულვართ ჩვენი წინაპრების საგმირო საქმეებზე, მათს მამაცობასა და შემართებაზე, მტრისადმი სიძულვილზე. შეგვიდარებია იმათი ხმალივით გატარებული ცხოვრება ჩვენი, ახალგაზრდა თაობის ბედნიერი ცხოვრებისათვის. ჩვენ ამ შედარებებიდან სათანადო დასკვნებიც ხშირად გავვიკეთებია. ეს დასკვნები გვეხმარება კიდევ მეტი პასუხისმგებლობით, მეტი მონდომებითა და სიყვარულით მოვეკიდოთ ჩვენი პიონერული მოვალეობის შესრულებას.“ — ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეები: მაია ბელაშვილი, მაია ხუშარინი, მარია პურტანიძე, მაია რაზმაძე, მაია ჯაფარიანი, მაია ბლუნჩაძე, ლინა პაიჭაძე, ირმა არუთინოვი.

„პიონერთა საკავშირო ხაზის დღეს სკოლაში გვეწვივნენ ჩვენი შეფები — საელმავლო დეპოს მოწინავე მუშები — ბიჭიკო კუპრაძე, ნოდარ გაგნიძე, გაიოზ გოგოლაძე და სხვები. მოწინავე კომუნისტებს ვუბატაკეთ, რომ ჩვენი სკოლის რაზმეული უკვე ჩაება გადაძახილში — „სწორება კომუნისტებზე“, მოვუყვებით ჩვენი ვალდებულებებისა და საქმიანობის შესახებ. სტუმრებმა მოგ-



ლაშქრობა პეტრეს ციხეზე. აქედან ხალისაულივით მოჩანს ბორჯომის შემოგარენი.

ვიწონეს დასახული ამოცანები, რომ არ გვეყოლება არც ერთი ჩამორჩენილი, ვიქნებით ბუნების მეგობრები, კვლავაც მხარში ამოუდგებით უფროსებს ლაფანჭამიასთან ბრძოლაში, შევისწავლით ჩვენი ქალაქის რევოლუციურ წარსულს, შევავროვებთ ლითონის ნამსხვრევს, მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნისათვის — ბოთლებს.

ბოლოს სტუმრებს საკუთარი ძალე-ბით კონცერტი გაუშვართ.

სტუმრები ნასიამოვნებნი და კმაყოფილნი დაგვემშვიდობნენ. მეოთხედის ბოლოს ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. მოსწავლეები კომუნისტების წინაშე წარსდგებიან გაწეული მუშაობის შედეგებით. აქვე დაისახება ამჯერად უკვე — საქართველოს კომკავშირის ოცდამეთერთმეტე ყრილობისადმი მიძღვნილი, გადაძახილის მეორე ეტაპის ახალი ამოცანები, ახალი ვალდებულებანი. ჩვენი ბავშვები, არც ახლა და არც მომავალში არ შეირცხვენენ თავს უფროსების წინაშე... — რკინიგზის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეები: მარინა ქიტიაშვილი, ლეილა ბერიკაშვილი, რამაზ ნინიძე, ედიშარ ყინიშვილი, ნინო ფირცხალავა.

აი, უმთავრესი მიზნები და საზრუნავი ბორჯომელი პიონერებისა. უმთავრესი, იმიტომ ვამბობ, რომ მათი ნაამბობიდან კიდევ ბევრი რამ იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი.

თუმცა ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნო კიდევ. ეს გახლავთ ორივე სკოლის პიონერებისა და მათი ხელმძღვანელების მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩემთვის განდობილი საიდუმლო, თუ როგორ ემზადებიან მათი სკოლების პიონერული ორგანიზაციები გადაძახილის „მადლესი მწვერვალის“ დასალაშქრავად — მოძრავ საპატრიო ალბომ-ესტაფეტაში მოსახვედრად, რომელშიაც ჩანაწერი-პატაკის შეტანის უფლება, მეორე ეტაპის ბოლოს მიენიჭებათ მხოლოდ გადაძახილში მონაწილე საუკეთესო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, სანიმუშო ორგანიზატორებს, მოწინავე პიონერებს.

მართლაც რომ კეთილშობილური მიზანია! ისღა დაგვრჩენია, გამარჯვება ვუსურვოთ ორივე სკოლის მოსწავლეებს შრომისა და სწავლის. შენების ახალ-ახალი ამოცანების დაძლევის გზაზე.



ყრმობასა და სიჭაბუკეში ჯერ კიდევ ძალზე მცირეა ცხოვრებისეული გამოცდილება, მაგრამ განსაკუთრებით დიდია სულიერი თანაზიარობისაკენ სწრაფვა. რისთვის სჭირდება ადამიანს მეგობარი და როგორ უნდა მოენახოთ იგი?

ძველი გადმოცემები უხვად გვიამბობენ მგრძობიარე და ამავე დროს მკაცრი მეგობრობის ამბებს. საუკუნეების მანძილზე ბევრი მისი მახასიათებელი (ისევე, როგორც ყველა სხვა ეთიკური მოვლენისა) შეიცვალა. მაგრამ პატივისცემა და წადილი ამ გრძობისა უცვლელად დარჩა. მე-19 საუკუნეში ჟუკოვსკი სიტყვას „Дружба“ დიდი ასოთი წერდა. ის პოეტი იყო, შეიძლება შემოგვედავოს ვინმე. დიას, პოეტი იყო, დიდი პოეტი... მაგრამ რეალისტურად მოაზროვნე გერცენმაც პროზაულ ნაწარმოებში ეს სიტყვა დიდი ასოთი დაწერა და თანაც დასძინა, რომ სწორედ მეგობრობამ მისცა მას „ღრმა სული“.

ახლა მოვეშვათ დიდ ადამიანებს და გავიხსენოთ ასეთივე ეპიზოდები რიგითი ადამიანების ცხოვრებიდან.

თქვენ უთუოდ კითხულობთ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“. იქ ორი რუბრიკაა, სადაც მეგობრებზე მოგვითხრობენ. „გვიამბობთ კარგ ადამიანებზე“ და „მადლობა გადაუხადე, კომსომოლკავ!“ — ასე ჭეია ამ რუბრიკებს. აქ მკითხველები გვიამბობენ თავიანთ მეგობრებზე — მუშებზე, კოლმეურნეებზე, სტუდენტებზე, უფროსკლასელებზე, რომლებიც დაეხმარნენ მათ უბედურებაში, ავადმყოფობის დროს, გაჭირვების ჟამს; რომლებმაც ასწავლეს მათ შრომისმოყვარეობა, ზრუნვა ადამიანებზე, უანგარობა, ერთი სიტყვით, მისცეს მათ „ღრმა სული“.

დამახასიათებელია, რომ ჭეშმარიტი მეგობრობა მკაცრად მომთხოვნია, რომ ჭეშმარიტი მეგობარი ადამიანს, ჩვეულებრივ, ცოტა ჰყავს. ბევრი მეგობარი მხოლოდ იმას ჰყავს, ვინც მეგობრებით სარგებლობს საკუთარი გამორჩენის მიზნით: რაც მეტია მეგობარი, გამორჩენაც მეტია. ასეთი „მეგობრები“ დროებითია. თუ მეგობრებს ვეძებთ არა სულიერი სიახლოვის, არამედ საქმის მიხედვით (სამსახურში წარმატების მისაღწევად, წარმატებული კარიერისათვის), ამ საქმის დამთავრებასთან ერთად მეგობრო-



# ზნაოვის ანჯანი

მეგობრობა — ურთიერთმანყობა, ერთმანეთისადმი ერთგულება, რომელიც ვეყარება ურთიერთდროას, გულიწაურს, ინტერესთა, იდეათა, მიზანთა ერთობას.

მეგობრობა აკავშირებს არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ კოლექტივებს, საზარმუშოს, კლასებს; არსებობს ხალხთა მებორობა, არის განსაკუთრებული ვებორობა ურთიერთობაში სახელმწიფოებს შორის, მაგრამ ამაჟამად ჩვენ საზარეო გვიქნება მეგობრობაჲ მხოლოდ და მხოლოდ ორ ადამიანს შორის.

ბაც მთავრდება, წარსულს ბარდება. სულ სხვაგვარად ხდება ნამდვილ მეგობრებს შორის, რომლებიც ყველაზე მაღლა სულიერ თვისებებს აყენებენ. მარქსს, მაგალითად, როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ძალზე ცოტა მეგობრები ჰყოლია, მაგრამ მეტისმეტად აფასებდა და უფრთხილდებოდა თურმე ამ მეგობრებს.

ახლა თანდათან სულ უფრო ნაკლებია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც მეგობრებს პოულობს მხოლოდ იმათში, ვისთანაც ერთ სახლში, ან ერთ ქუჩაზე

ცხოვრობს. სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ ადამიანები ამჟამად მეგობრებს იძენენ სამუშაოზე, კლასში, სტუდენტთა ჯგუფებში. ეს ბუნებრივია: თუ ახალგაზრდა მუშა ან ინჟინერი მთელ თავის ძალასა და დროს ახმარს საერთო საქმეს, იგი ამხანაგსაც სწორედ იქ იპოვის, თავის ქარხანაში; ასევე სტუდენტიც, მთელ დღეებს აუდიტორიებსა და სამკითხველოებში რომ ატარებს; ასევე სოფლის ახალგაზრდებიც, საკოლმეურნეო ველმინდვრებში ერთად რომ ატარებენ სეზონის ყველა სამუშაოს.

ასაკში შესვლასთან დაკავშირებით ზოგიერთი იმ აზრისაა, რომ ყველაზე კარგი მეგობარი ძველი მეგობარია. შესაძლოა ეს ასეც იყოს. მაგრამ ახალგაზრდებს ხომ იშვიათად ჰყავთ ძველი მეგობრები. ან კი საიდან უნდა ჰყავდეთ? სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტს, ასევე ახალგაზრდა მშენებელს, რომელიც კომკავშირული საგზურით მოვიდა ახალმშენებლობაზე, ყველა მეგობარი ახალი ჰყავს. მაგრამ ხშირად გვაავიწყდება, რომ ყველაზე ახალგაზრდა ადამიანსაც ჰყავს ბევრ ჭირში გამოცდილი ძველი მეგობრები. ესენი მისი მშობლები არიან. თუმცა სოციოლოგთა მონაცემების მიხედვით, მაგალითად, უფროსკლასელებს მიაჩნიათ, რომ თანატოლებს უკეთ ესმით მათი, ვიდრე მშობლებს, და სწორედ ამიტომ ისინი უფრო გულახდილები არიან თავიანთ მეგობრის ამხანაგებთან.

რატომ ხდება ასე, და სწორია თუ არა ეს? ძალზე ხშირად ადამიანი მეგობარში ეძებს თავის მსგავსს, თავის მეორე „მეს“. ადამიანთა დიდი უმეტესობა, ასევე სოციოლოგების მონაცემებით, არჩევს იმეგობროს მხოლოდ და მხოლოდ მისი ასაკის, საქმის, სოციალური მდგომარეობისა და განათლების ადამიანთან, მაგრამ რატომ ვეძებთ მეგობრობაში მსგავსებას და არა დამატებას? განა დამატება უფრო არ გაამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას, უფრო საინტერესოს არ გახდის ურთიერთობას? რატომ უნდა იყოს სხვა ცხოვრებისეული გამოცდილების, სხვა მსოფლმხედველობის ადამიანი ნაკლებად საინტერესო, ვიდრე ჩვენი მეორე „მე“? ხომ არ ვეძებთ ამის მიზეზს საკუთარი „მეს“



ბ ი ო რ ბ ი მ ე ზ რ ე ე ე ლ ი

თაყვანისცემასა და სხვის პიროვნების უპატივცემლობაში? ანდა ხომ არ გვეზარება ჩვენს გარშემო მჩქეფარე, მრავალმხრივი ცხოვრების შეცნობა?

მეგობრის ყოლა დიდი სიკეთეა. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მისი სიკეთე მზამზარეულად არასოდეს არ მოდის, ამ სიკეთის მოპოვებისათვის გარჯაა საჭირო. მეგობრისთვის სწორედ სულიერი გარჯაა აუცილებელი.

ერთხელ ასეთი შემთხვევის მოწმე გავხდით. საამქროში ახალბედა მუშა გოგონას არაფრით არ გამოსდიოდა საქმე და ვერც მიმხვდარიყო, რას ვერ აკეთებდა სწორად. ერთ დღეს მასთან მივიდა უცნობი ქალიშვილი და დახმარება შესთავაზა. გახარებული გოგონა, ცხადია, დათანხმდა. უცნობი ქალიშვილი კომსორგი აღმოჩნდა; მაგრამ იგი ადამიანებს იმიტომ კი არ ეხმარებოდა, რომ კომსორგი იყო, პირიქით, კომსორგად სწორედ იმიტომ აირჩიეს, რომ ადამიანებს ეხმარებოდა.

ახლა ის ახალბედა გოგონა დიდი ხანია უკვე ახალბედა აღარ არის, კომსორგს კი თავის საუკეთესო მეგობრად თვლის.

ჩვენ საგანგებოდ არ მოგვეყავს ასეთი მეგობრობის მაგალითები სასაკოლო ცხოვრებიდან, რომ თქვენ თვითონ მიმოიხედოთ ირგვლივ, დამოუკიდებლად აღმოაჩინოთ მსგავსი ფაქტები თქვენსავე კლასში.

ლევ ტოლსტოი ყველაზე უკეთეს ადამიანებად თვლიდა იმათ, ვინც საკუთარი გონებითა და გრძნობით ცხოვრობს. ამ აზრმა შესაძლოა კამათი გამოიწვიოს, მაგრამ იგი აქ მოგვეყავს არა სადისკუსიოდ, არამედ იმისათვის, რომ მოგაგონოთ: მწერალს, რომელიც გამუდმებით ფიქრობდა ადამიანის სულის საიდუმლოებაზე, ჰუმანურად მიაჩნდა ის ადამიანი, ვინც პირველ რიგში ფიქრობს სხვის და არა საკუთარ ცხოვრებაზე.

არსებობს ძველი ბრძნული წესი: თუ გინდა გყავდე მეგობარი — შენ თვითონ უნდა იყო მეგობარი! სულიერად გაისარჯე გვერდით მდგომისთვის — საკუთარივით მიიღე მისი ჭირი და ლხინი, და იფიქრე იმაზე, თუ როგორ გახადო მისი ცხოვრება ბედნიერი, ნუ დაიშურებ ამისათვის დროს, საკუთარ ძალასა და გრძნობებს.

ა. ლოსოტო.



გ ა გ უ ა ი  
მ ე რ ი ს ი

ყური მიუგდეთ, მამული მღერის, მამული მღერის ახალ სიმღერას... ცამდე ასულა სამშობლოს ჭერი და სიხარული ჩქერად იღვრება.

გარინდებული დამდგარან მთები, თითქოს ამღერდა თვით დედამიწაც... კიდითი კიდე გუგუნებს ხმები. რაოდენ მძლავრი ფრთები აქვს მიზანს!

ყური მიუგდე, მამული მღერის, მამული მღერის ლამაზ სიმღერას, ცამდე ასულა სამშობლოს ჭერი — სიხარულია ახლა იმხელა.

თ უ ა ნ ა  
უ ა ნ ე

გეძახის მთა და გეძახის ბარი და გიხმობს, გიხმობს მომავლის ზარი.

ვის განუცხადებს მამული ნდობას, თუ არ შენ, ჩვენო ახალგაზრდობავ!

უ ა ნ ა ხ ა ნ  
ჩ ა ნ ი  
ჩ ა ს უ ი ს ა ნ ი

მას შემდეგ, რაც მზე ვნახე ცინცხალი, შენა ხარ ჩემი დასაფიცარი... ვინ, ვინ იქნება რომ შემეცილოს და ჩემს მაგიერ თავი შეგწიროს! ვარ შენი შვილი და კარგად ვიცი, ვისთვის დავღვარო ოფლი და სისხლი! მამულო, რაც მზე ვნახე ცინცხალი, შენა ხარ ჩემი დასაფიცარი.

გ ა გ ა გ ა უ რ ი ს  
მ ე რ ი ს ო ს თ ა ნ

აი, მოვიდა დაღლილი მგზავრი, დაიჩოქა და პეშვი აივსო, დაღლია, და რომ გაუგო მაღლი, თქვა: უკვდავების წყალი არისო. წყარომ კი, თითქოს გაუგო სტუმარს, უფრო და უფრო უმატა ჩხრიალს. იქვე კი შავი ლოდები სდუმან, ალბათ დარდობენ, უქმად რომ ყრიან.







კენ წავიდა. ბებიაც თან მიჰყვა, ავტობუსის კიბეზე ჩანთის ნაკვანას შევლოდა და ბუკნულად...

— გაგონილა, ქა, რა მალე გავიდა ზაფხული! თითქოს გუშინ იყო, ბიჭი რომ ჩამომგვარეს ქალაქიდან, მთელი ზაფხული აქ იქნებო, და აი, უკვე შიდა!

ბიჭი ფანჯარასთან დაჯდა და ბებიას ღიმილით გადმოხედა.

— აბა შენ იცი, შვილო. ეგე მაგრე იყურე ფანჯრიდან, რომ დავინახონ. ისინი იქ დაგხვდებიან. ყველანი მომიკითხე, ყველას აკოცე ჩემს მაგივრად, — მისძახოდა უკვე მიმავალ ავტობუსს თათელა.

როცა ავტობუსი თვალს მოეფარა, მაშინლა გაბრუნდა მოხუცი შინისაკენ. მიდიოდა ნელა, თავჩალუნული. ეზოში რომ შევიდა, ლელვის ქვეშ კუნძზე ჩამოჯდა და მიიხედ-მოიხედა. იქაურობა აღარ ეჩემებოდა. მთელი ეზო-ყურე თითქოს დაცარიელებულიყო, თანაც ისეთი სიჩუმე იდგა, ბალახებში პაწაწინა კიბები რომ დაძვრებოდნენ, იმათი ფაჩუნიც კი ისმოდა.

ზის მოხუცი ლელვის ქვეშ დანალვლიანებული, აქეთ-იქით იყურება და ყველაფერი, რასაც თვალს მოჰკრავს, იმ გაცნაჭულ ბიჭუნას აგონებს. აი, ახლადშელესილ სახლის სვეტს მიაშტერდა.

შარშან, შემოდგომაზე. ყურძნით სავსე დიდი მანქანა დაეჯახა ამ სვეტს და ჩამოანგრა. უყურებს მოხუცი, უყურებს და ფიქრობს: „რა კარვად ამოაშენა ი ბიჭმა, ქა, მშვენიერადაც შელესა, ვენაცვალე ხელებში! კიბის საფეხური და აივნის გადაბრეცილი რიკულებიც იმან არ გაამაგრა! შეღებვა კი ველარ მოასწრო, მერე რომ ჩამოვალ, მაშინ შევლებავო. წვიმისაგან ჩახრამული საურამე გზის გასწორებაშიც რომ მიეხმარა კაცებს! რაც იქ ქვა და ღორღი ჩაყარა! იი, კინალამ გადაშვიფყდა, ხევიდან ქოცოს სარქველი რომ ამოიტანა. ერთი კი

# რა ქალა ბავიდა

## ზაფხული

ნიწო  
გუზარაშვილი

მხატვარი  
დ. ზარაფიშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

დიდი, წითელი ავტობუსი გზის პირას გაჩერდა.

თელა ბებია მორმეტიოდე წლის ბიჭს. ბიჭმა გატენილი ჩანთა ჩამოართვა მოხუცს და ავტობუსის-

— აღი, შვილო, — უთხრა თა-



### თამარ ლავიტაშვილი-მეზარეული

მხატვარი ზ. ფიცხიშვილი

**მ**ბილისის არსებობის 1.500 წლის-  
თავს დღესასწაულობდა.

იმ საზეიმო დღეს ორთაჭალაში,  
ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ  
სადგურში, სადაც მე წლების მანძილზე  
ვეწეოდი პედაგოგიურ მუშაობას, ნა-  
ტურალისტთა წრის მეცადინეობა გეჭო-  
ნდა.

ბავშვები სადგურის საკურდღლეში  
ფუსფუსებდნენ, ბაჭიებს უმასპინძლდე-  
ბოდნენ ბოსტნეულითა და ქორფა ბა-  
ლახით. მოულოდნელად მათ მუშაობა  
შეწყვიტეს და ჩემთან მოცვივდნენ.

— მასწავლებლო, პატივცემულო  
მასწავლებლო! — სული ძლივს მოიბ-  
რუნეს და მეტეხისკენ მიმითითეს: —  
შეხედეთ! მეტეხის მხრიდან ჩვენკენ ვინ  
მოფრინავს, თანაც როგორი უცნაური  
წკრიალა ხმა მოაქვს!..

ბავშვებს სათქმელი არ დაემთავრე-  
ბინათ, რომ სადგურის საფრინველიდან  
საჯიშე ქათმების აფორიაქებული კრია-  
ხი მოისმა. ჩემმა პატარებმა მაშინვე სა-  
ფრინველისკენ მოკურცხლეს, მეც იქით  
გავეშურე, და რას ვხედავთ: საქათმის  
თავზე ეჭვნების წკრიალითა და თვალე-  
ბის ბრიალით ირაოს სცემდა შევარდენი.  
მან რამდენიმე წრე შემოხაზა, მერე  
მხრები შეკუმშა და ელვასავით დააცხრა

# ჩარხელის ხარკი

წამომცდა, ეს ქოცო ყველაზე  
კარგად ინახავს ღვინოს, მაგრამ  
სარქველი გაუტყდა, ყბალია დარ-  
ჩა-მეთქი და, სანამ არ ამოიტანა,  
ვერ მოისვენა. აგრემც არ ვიქნე-  
ბი, რამდენი იწვალა, ძველ, გადა-  
გდებულ ყუთს მავთულის სახე-  
ლური გამოაბა, ის ქვა შიგ ჩააგ-  
ლო და იგრე ამოათრია იმოდენა  
აღმართზე. როგორ იბოვნა იმ გა-  
სამრავლებელმა სწორედ ქოცოს  
პირივით მრგვალი ქვა. მოძებნა  
არ უნდოდა?!

კარგადაც რომ მოერგო! იტყ-  
ვი, ზედ გამოუჭრიათო. თანაც რა  
ლამაზია, რა კობტა, ქვის მთლე-  
ლიც ვერ გამოიყვანდა ამისთანას.  
რომელი ერთი ჩამოვთვალო,  
რომელი ერთი ვთქვა. რაც მოხ-  
ვდა გატეხილი თუ დანგრეული,  
ყველაფერს თავისი ხელი დაატ-  
ყო, მთელი დღე აკაკუნებდა. მი-  
იხედავდი, ეზოს თავში იყო, მოი-  
ხედავდი, ეზოს ბოლოში. აბა,  
უიმისოდ რაღაა აქაურობა? გა-  
რინდებული, დაყურსებული“.

თათელა ადგა. საით წასული-  
ყო, რა გაეკეთებინა, არ იცოდა.  
დადიოდა, დაფრატუნებდა ეზოში  
და ისევ შვილიშვილზე ფიქრობ-  
და:

„მაინც რა მალე გავიდა ეს ზაფ-  
ხული, ქა! ელდა იყო, სიზმარი  
თუ მოლანდება! ვერ მოვისურ-  
ვილე ი ბიჭი. ვერც იმან გაიხარა  
ბაღში და ვენახში. აბა რა არის,  
როცა ლეღვი და ყურბენი უნდა  
მოიწიოს, სწორედ მაშინ მიდიან  
ბაღლები სკოლაში. ადრეულა  
თავკვერის კიწები კი ამოვუტანე  
ვენახიდან, მაგრამ ის რა იყო.  
ბებია მოუტკვდეს, იგრე წავიდა,  
ერთი კარგად მოწეული ყურბნის  
მტევანი ვერ მოწყვიტა თავისი  
ხელით. ნეტა როგორ იმგზავრა?  
მე მგონი, ეხლა ჩასულიც იქნე-  
ბა“.

მაგრამ არა, ბიჭი ჯერ არ იყო  
ჩასული. ისევ დიდ, წითელ ავ-  
ტობუსში იჯდა, ფანჯრის შუში-  
დან გზის პირებს გაჰყურებდა და  
ფიქრობდა:

„მართლაც რა მალი გავიდა  
ზაფხული!“

ყველაზე ლამაზ წითელ ყვინჩილას, მა-  
გრამ მტაცებელს ანგარიში შეეშალა --  
უცებ სადგურის მეყვავილის ხერხიანად  
მომარჯვებულ ტომარაში ამოჰყო თავი.

გაკვირვებული ვიდექი, ნანახს არ გუ-  
ჯერებდი. რა სასწაულით უნდა მომხ-  
დარიყო ეს ამბავი სწორედ დღეს?!  
ფიქრით გადავევლე თხუთმეტ საუკუ-  
ნეს, თბილისის დაარსების რომანტი-  
კულმა ლეგენდამ ჩაიქროლა ჩემს თვალ-  
წინ. ეს რა ხდება? — სწორედ ამ  
წუთს, თბილისის დაარსების 1500  
წლისთავის დღესასწაულზე იმ „გაფუ-  
ფქული“ შევარდნის ეჭვანშემბული შთა-

მომავალი ორთაჭალაში, ცხელი წყა-  
როების მიდამოებში დანავარდობს და  
„გაფუფქვას“ წითელი ყვინჩილას მონა-  
დირების სურვილმა თუ გადაარჩინა!..  
იქნებ ახლა თბილისის სანახებში ძვე-  
ლებურად დააგვლვებენ რაშებს ვახტანგ  
გორგასალი და მისი ამალა, იქნებ ისი-  
ნიც ზეიმობენ ჩვენთან ერთად თბილისის  
სიდიდესა და სიკეთეს, იქნებ მათი ფიქ-  
რიც უერთდება ჩვენს სურვილს — იხა-  
როს და იზარდოს დედაქალაქმა, მხარ-  
ში ამოუდგეს მსოფლიოს უდიდეს ქა-  
ლაქებს, ტოლი არ დაუგდოს...

ბავშვებმა ყოყინითა და ზარ-ზეიმით

ბ. ლავიტაშვილი-მეზარეული  
საბჭოთა საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი









გორა კორაესკონდენტა ჟურნალი № 12

## გაეარჯვეულები შეხველით ღესესნაულს

ჩვენი რაზმი აქტიურად ჩაება კონკურსში „ღიდების გზით“.


დიდი ენთუზიაზმით შეეკუდიქით მუშაობას. ვაგროვებდით ჯართსა და მაკულატურას, პასუხს ვაძლევდით ვიქტორინას, ვსწავლობდით ისტორიულ მასალებს, მოვაწყეთ შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან და სამოქალაქო ომის გმირებთან. დავთვალე რეთ თბილისის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები. შევასრულეთ ყველა დავალება, პირველი ტური დამთავრდა. გულის ფანცქალით მოველოდით ჩვენი მუშაობის შედეგს.

ერთ დღეს სასიხარულო ცნობა მივიღეთ: რესპუბლიკის 11 გამარჯვებულ რაზმს შორის ჩვენი რაზმიც

იყო. რაზმის ერთ წევრს უფლება ეძლეოდა წასულიყო ტურისტულ მოგზაურობაში. დიდი ნდობა გამოემიციხა ჩემმა მეგობრებმა — ამირჩიის თავიანთ წარმომადგენლად ამ მოგზაურობაში.

1977 წლის 22 მარტს პიონერებით დატვირთული „ბორბლებიანი ბანაკი“ თბილისიდან გავიდა. დღეები, რომლებიც მე ამ ბანაკში გავატარე, დაუვიწყარია ჩემთვის. ვათვალისწინებდით ჩვენი სამშობლოს ქალაქებს, ვეცნობოდით საბჭოთა ხალხის გმირობას დიდ სამამულო ომში, ციხილებოდათ მოძმე რესპუბლიკების არქიტექტურით, შიშს გვგვრიდა ოდესის კატაკომბების, ქერჩის აკიმუშკაის სამჭედლოები, აღფრთოვანებაში მოვყავდით კიევის სოფიის ტაძარსა და ლავრას, სევასტოპოლის პანორამას.

უცებ გაირბინა სიცოცხლით სავსე ტურისტულმა დღეებმა. ჩვენი რაზმი ახალი გამარჯვებისათვის ბრძოლას შეუდგა, ვეძებდით სამამულო ომის გმირებს. ვათვალისწინებდით სამამულო ომისადმი მიძღვნილ ჯამოფენებს. ვნახულობდით კინოსურათებს, ვიყავით სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. პირნათლად შევასრულეთ მეორე ტურის დავალებებიც და აი, სიხარულის მაყენდ შემოფრინდა ჩვენს კლასში გამარჯვების დიპლომი. მეორედ ვიზიემეთ გამარჯვება და ახალი დავალებებით აღჭურვილნი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ საქარ-



ნახურგორბი. გონა კაპარავა. VI კლ.

თველოს სხვადასხვა კუთხეში დავიქსაქსენით. დამთავრდა ზაფხული და შესრულებული დავალებებით სკოლას დავუბრუნდით.

მანანა ჟიჟიანი,  
თბილისის 126-ე საშუალო  
სკოლა, III კლასი.

## საქო, სკოლა!

ზარმა კვლავ გვამცნო სწავლის დაწყება.  
ფართოდ გააღეთ სკოლის კარები!  
სალამი, სკოლა! — ჩვენ ვამბობთ  
ერთხმად,  
გავგებრწყინებია ყველას თვალები.  
ჩვენ სიყვარულით შევყურებთ  
სკოლას,  
გული გვიხარის, სიამით ფეთქავს.  
მზე იღიმება, ზარი წკრიალებს  
და თავის ნახ ხმას უერთებს ჩვენს  
ხმას.  
დაე, ეს დილა სწავლის და შრომის,  
ბმობის, მშვიდობის იყოს სიმბოლო!  
მიღწევების და წარმატებების,  
ხუთიანების მხოლოდ და მხოლოდ!

მარინე კუპატაძე,  
ქ. ჭიათურის დვითორის საშუალო  
სკოლა, IX კლასი.

შხეველა. პაბა მანთაშაშვილი,  
წითელწყაროს სოფელ ჭაფარიძის  
საშუალო სკოლა, VI კლასი.





# საეშობლოს

რაც რამე კარგი დაწერილა,  
შენ ერთს გეკუთვნის, მე რა შევძლო,  
რა მაქვს სათქმელი,  
მე ჯერ არა ვარ ბევრის შემძლე,  
გამკეთებელი,  
ვარ მხოლოდ შენთვის ჩამოქნილი  
წმინდა სანთელი.  
ჰოდა, ვენთები, მე ვენთები  
შენდა იმედად,  
ბევრს არ გპირდები,  
კვებნა არის ცუდი თვისება;  
მზის ღიმილი ხარ —  
ყველა დილა შენით იწყება,  
არ შეიძლება ამ ღიმილის  
გადავიწყება.  
მე ჯერ არა ვარ ბევრის შემძლე,  
გამკეთებელი,  
ვარ მხოლოდ შენთვის ჩამოქნილი  
წმინდა სანთელი, —  
ვფიცავარ შენს თავს, —  
გავუფრთხილდე შენს ლამაზ ღიმილს,  
მეტს არ გპირდები,  
ჯერ არა მაქვს შეტი სათქმელი.



გუნების  
შვილები.

ნინო არმაზაშვილი,  
ახმეტა, შტო, V კლასი.

# თანატოლს

თანატოლო,  
იყავ ღირსი  
პაპაშენის დაკოყრილი ხელების;  
გახსოვდეს,  
რომ ვალი გმართებს  
სისხლით მორწყულ ველების.  
თანატოლო,  
მოგონება  
ქარიშხლიან დღეების,  
დასეტყვილი ვენახის და  
შაოსანი დღეების,  
გულში წმინდად შეინახე,  
როგორც შუქი დიდების,  
შენი შრომით უკვდავყავი  
საფლავები გმირების.  
გახსოვდეს,  
რომ ეს ცხოვრება  
შექმნილია  
დაკოყრილი ხელებით,  
გახსოვდეს,  
რომ მზის ღიმილი  
ღიმილია, შინმოუსვლელ ბიჭების.  
თანატოლო, იამაყე —  
შენი შრომა ძეგლი არის  
მათი არ დავიწყების!

ირინე ლეგაშაძე,  
მხარაძის მე-2 საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.

# ნ ა ხ ე ე ლ ი ს, ნ ა რ ბ ე !

გამომეღვიძა. საწოლში ვწევარ. ფან-  
ჯარასთან, ელექტრომაგთულებზე წვი-  
მის წვეთები დარბიან და შემდეგ რიგ-  
რიგობით მიწაზე ეცემიან.  
ბებიას სახლის წინ დიდი კლდეა,  
ხეებით და ბურქებით დაფარული, ასე  
მგონია, თითქოს ამ კლდიდან წვიმს.  
მე დღეს ქალაქში მივყავარ მშობლებს.  
ძალიან დაღონებული ვარ. ნეტავი უჩე-  
მოდ როგორ იქნება ჩემი საყვარელი  
წარბა, ვინ მოუფერება, ვინ წაიყვანს  
კვადარუაზე საბანაოდ!..

აი, უკვე ორღობეში მივიჩქარი. ავერ  
წყარო. ფერდებით. ერთხელ კიდევ ვსვამ  
ანკარა წყაროს წყალს. მერე ვემშვიდო-  
ბები ბებიას და წარბას. მივყვებით  
კლდის ძირას მიმაგალ გზას. გონებაში  
კი ისევ თვალწინ მიდგანან აცრემლებუ-  
ლი ბებია და წარბა...

ჰათინო ორჯონიძე,  
რუსთავის მე-18 საშუალო სკოლა, II კლასი.

## კ ი დ ე ვ ჩ ა მ ო ვ ა ლ ...

ახლა ჩემი დიდი ხნის ოცნება: ამ  
ზაფხულს, 19 ივლისს, ჩამოვდი  
თბილისში. ძალიან მომეწონა აქაუ-  
რობა, მაგრამ ხომ მშვენიერი ქალა-  
ქია თბილისი, მაინც თბილისელები  
კიდევ უფრო კარგები არიან. მე  
მათთან ლაპარაკი არ გამჭირვებია,  
რადგან ჩვენთან, საინგილოში, არის  
ქართული სკოლები, სადაც ჩვენ დე-  
დაენაზე ვსწავლობთ.  
თბილისელები ძალზე გულკეთი-

ლად მომექცნენ. საქართველოს დე-  
დაქალაქში ახლა ბევრი კარგი ამხა-  
ნაგი მყავს: ბელა ბორაშვილი, ირმა  
დავითაშვილი, გია თედიაშვილი და  
სხვები.

მე კიდევ ჩამოვალ თბილისში.  
ზაირა ტარტარაშვილი,  
აზერბაიჯანის სსრ, კანის რაიონის სოფელ  
ალათემურის 8-წლიანი სკოლა, VII კლასი.



# რაზმონი ყველა აპტივობს

ისინი, ვისზეც ამ წერილში გიამბობთ, ოქტომბრის გზებზე გავიცანი, მეხუთე შორეულ ექსკურსია-კონფერენციაზე მატარებელ „საქართველოში“. მატარებლის მთელი შემადგენლობა ნორჩი ტურისტების განკარგულებაში იყო...

მარშრუტი: კიევი-კიშინიოვი-ოდესა-ხერსონი-სევასტოპოლი-ქერჩი - ნოვოროსისკი ნორჩებს საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი 60 წლის გზას აცნობდა.

თეთრწყაროელთა მარჯვენაფლანგელი რაზმი და მათი კლასის ხელმძღვანელი ეთერ ბაიაშვილი მაშინ მთელმა „საქართველომ“ გაიცნო. მათ ალბომებში საინტერესოდ იყო მოთხრობილი, თუ რა გააკეთეს პიონერებმა რუსთაველთა მოწოდების საპასუხოდ.

შემდეგ ამ რაზმს უფრო ახლოს გავეცანი.

თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის რაზმულში ვალენტინა ტერეშკოვას სახელობის პირველი რაზმი ერთ-ერთი ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს სხვებისაგან განსხვავებული რაზმია.

რაზმმა საოქტომბრო სამზადისში იყრიდა და რაზმულში პირველ ადგილზე გავიდა; მისი წევრები პირველობენ სწავლაში, პიონერული დავალებების შესრულებაში, სპორტში, თვითშემოქმედებაში... მეგობრები ჰყავთ ყველა მოძვე რესპუბლიკაში.

არ იფიქროთ, თითქოს რაზმში რაღაც განსაკუთრებული ხდებოდეს ანდა განსაკუთრებული მონაცემების ბავშვები იყვნენ გაერთიანებულნი! არა, ჩვეულებრივი პიონერები არიან, ხოლო მათი მეთაური, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ნანა მენთეშაშვილი, რაზმის საბჭოს წევრები — ნიკოლოზ თვალაშვილი, ლალი კობაიძე, კოტე ელბაჩიძე და ხათუნა მელაძე ძალზე ყოჩაღნი და ენერგიულნი, საქმის კარგი ორგანიზატორები არიან.

კარგად უძღვება რაზმის საბჭო თავისი კოლექტივის ცხოვრებას. საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილი — „სწორება კომუნისტებზე!“ მათ მაშინვე აიტაცეს, გაიზარეს და თავიანთ საქმიანობაში დანერგეს. დებულების მიხედვით, გადაძახილი რაზმულში პიონერულ რაზმებს შორის წარიმართა. რაზმის ყველა წევრს მინდობილი აქვს კონკრეტული საქმე და გულმოდგინედაც ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენი კლუბის სხდომაზე ამჯერად სიტყვას ვაძლევთ თეთრიწყაროს ქარ-



პიონერთა აპტივის კლუბი

თული საშუალო სკოლის ვ. ტერეშკოვას სახელობის მარჯვენაფლანგელი პირველი რაზმის პიონერებს.

## როცა რაზმონი განგაზონი

გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენას არავის ვაპატიებთ. მაშინვე გავარკვევთ ხოლმე, თუ რა მიზეზით გააცდინა რომელიმე გაკვეთილი. ამ დროს მოქმედებას იწყებს სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი. თუ თანარაზმელი ავად გავიხსნა, შინ ვაკითხავთ, ახალ მასალას უუხსნით ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მეგობარი სასწავლო პროგრამას არ ჩამორჩეს.

სხვა საქმეც არ გვავიწყდება, ვშრომობთ დღეიწით: „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს“, „გაჩუქთ ადამიანებს სიხარული“, ემონაწილეობთ თეატრაციებში „შავი საბადო“, „თეთრი ფარი“, „ნობათი წიქარასათვის“ და სხვ. ასეთი შრომით გახდა ჩვენი რაზმი მარჯვენაფლანგელი. რაზმში ყველა კარგად სწავლობს. ამისათვის ჯილდოც კარგი მივიღეთ, ოქტომბრის ექსპრესით დაუსწრებლად ვიმოგზაურეთ დიდების გზებზე.

ლალი კობაიძე, ლალი ზივაური, ნუკრი თვალაშვილი.

## კომუნისტები — ჩვენნი მეგობრები

— კომუნისტებს რომ მხარი უსწოროთ, ახლოს და კარგად უნდა იცნობდეთ მათ, — გვითხრა ეთერ მასწავლებელმა.

ასეც არის, გადაძახილზე ხომ მათაც ვიწვევთ. ბევრი მათგანი გავიცანი. მუსიკალურ სკოლაში მოუწვევით შეხვედრა საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის დელეგატებს — ქართული სკოლის დირექტორს ქეთევან ცხვედიანს, რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს დონარა კალაჩნიკოვას და კომპოზიტორის რაიკომის მდივანს სკოლების დარში ციცო წულუკიძეს. მათ კარგად განგვიმარტეს, თუ რა მოითხოვა მასწავლებელთა ყრილობამ ჩვენგან, ასევე ბევრი რამ შევიტყვეთ იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი სწავლა-აღზრ-

დისათვის კომუნისტური პარტიის დასაწყისი ბჭოთა მთავრობა.

ჩვენ დაწყებისთანავე ყველა ჩავერთეთ კონკურსში „დიდების გზით“, სინელეებსაც მალე წავაწყდით, მაგრამ პაპა შალვა ბექაური მოგვეშველა, გაგვამხნევა, ნურაფრის შეგვემინდებათ, დაგეხმარებით. შალვა პაპა ჩვენს რაიონში საკოლმეურნეო მოძრაობის თავკაცია. საინტერესოდ გვესაუბრა და 1936 წელს გამოცემული ერთი იზვიათი ჟურნალიც გვიჩვენა «СССР на стройке». ჟურნალში ჩვენი რაიონის მკვიდრის ივანე მინესაშვილის სურათია დაბეჭდილი. შევიტყვეთ, რომ ი. მინესაშვილი ჩვენს რაიონში პირველი კოლმეურნი იყო, რომელიც შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. შალვა პაპას ყველა ემადლიერება, ამბობენ, მართო კოტესი კი არა, მთელი რაზმის საყვარელი პაპააო. ეს მან მოგვამარაგა საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის წლების, ომის შემდგომი ხუთწლედების, მშობლიური რაიონის მოწინავე ადამიანების, ომისა და შრომის ვეტერანების, ლენინისა და წითელი დროშის ორდენების კავალერთა შესახებ ცნობებით, რაზმის ყველა წევრისათვის საინტერესო აღმოჩნდა მეგობრობა შალვა პაპასთან.

გადაძახილის შედეგების შეჯამების დღეს კომუნისტი შალვა ბექაური რაზმის საპატიო სტუმართა შორის იქნება.

ჟეთილო კახიზვილი, კოტე ელბაჩიძე.

## საამაჟო წარსულის მართენი

რევოლუციონერ ილია დევეის მეუღლეს ანასტასიას ყველა იცნობს რაიონში. გაკვეთილების შემდეგ ხშირად ვაკითხავთ მას და საოჯახო საქმეებში ვეხმარებით, რადგან მართო ცხოვრობს. მასავით მართოსელები სხვებიც არიან. თუნდაც მარია იაშაღაშვილი, მარია დიდი სამამულო ომის მონაწილეა, ბევრი ჯარისკაცის იმცოცხლე უხსნია საფრთხისგან; მარიას შეშას ვუჩხვავთ ხოლმე; ასევე ვემეგობრობთ გადამდგარ პოლკოვნიკ დია კონსტანტინესთან; ომგადახდილი ჩვენთან დიდი სამამულო ომის საინტერესო ეპიზოდებს იხსენებს.

პენსიონერი კომუნისტების — მარიას, ანასტასიასა და დია კონსტანტინეს ცხოვრება ჩვენთვის სამაგალითოა. არასოდეს არ მოვაკლებთ მათ ყურადღებას.

ბარინე ავსიაური, ზეზა ძავთაძე.



**აპტიურად მონაწილეობით**

..მთელი რაზმი აპტიურად მონაწილეობდა გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ გამოცხადებულ პიონერთა რაზმების დაუსწრებელ მოგზაურობაში „დიდების გზით“, „ოქტომბრის ექსპრესით“. მათი სადგურების მიერ მოცემულ შეკითხვებს პასუხი გაეცით და დაგალებიც შევასრულეთ. დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა სკოლაში თვითონ გაზეთის რედაქტორი, პატივცემული ივანე ცერცვაძე გვესტუმრა, ჩვენს საქმიანობას გაეცნო...

ხათუნა ლა თინა მელაძე, ჰათინო კახიშვილი, მანია ოპროპირია.

**სწორებას კომუნისტ-ვალერიან მავთარაძის-კენ ვიღებთ!**

ოქტომბრის ექსპრესის სადგურების „ავრორას“ და „კორჩაგინის“ დავალე-ბათა შესრულების შემდეგ ყოველდღე ველოდით, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ჩვენს ნაშრომს. და, აი, ერთ დღეს სკოლაში ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგურის დირექტორი ჯემალ სამხარაძე გვესტუმრა, მან პირველად გვახარა, რაზმი გამარჯვებულია და სამოგზაუროდ გმირ ქალაქებში მივდივართო.

თავი მეცხრე ცაზე გვეგონა, აბა რა დაგვაიწყებს იმ დღეს! — გაემარჯვებ! გაემარჯვებ! — ვიძახ-დით და ყველა ერთმანეთს ვეხვეოდით. ყველამ იცოდა, რომ ამ გამარჯვებაში რაზმის ყველა წევრის წვლილი იყო. წარუშლელია გმირ ქალაქებში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ჩვენ ხომ ერთად ვიყავით, მთელი რაზმი. მოგზაურობის დროს ქუთაისელ პიონერთა მიერ წამოწყებულ კონკურსში ჩავერთეთ, რამდენიმე მხატვრული ნარკვევი წარვადგინეთ. თითქოს ახლაც ჩაგვესმის მხატვრების რადიოგანძიდან ხმა: — „პირველი ადგილი და თასი დაიმსახურეს თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელებმა, სიგელები — რაზმის სამმა პიონერმა: კახა ბექაურმა, ხათუნა მელაძემ და კოტე ელბაქიძემ“. გარდა ამისა, რაზმის ყველა პიონერს დაუსწრებელი კონკურსის „დიდების გზით“ პირველ ტურში გამარჯვებისათვის სიგელი თვით ჯემალ სამხარაძემ გადამოგვცა. მოგზაურობიდან მობრუნებულებს კიდევ ერთი სიხა-

რული გველოდა. კონკურსის მესამე ეტაპი „ყამირი“ და „სხივი“ ახალი დავალებების შესრულებას გვთხოვდა. 50-იანი წლების ქართული ყამირელები უნდა მოგვეძებნა, რომლებიც ადრე ყამირი და ნახვენი მიწების ათვისებაში მონაწილეობდნენ. შინ მშობლებთან ვისაუბრეთ. შევიტყვეთ, რომ თვით ჩვენი თანარაზმელის ზეზვა ქავთარაძის მამა ვალერიანი ყოფილა ყამირელი. ძია ვალერიანი 1957 წელს ყამირზე ხორბლის აღებაში მონაწილეობდა თურმე. იმ წელს ყამირზე სახელმწიფო ბელელში მილიარდობით ტონა ხორბალი დაუბინავებიათ. ისიც შევიტყვეთ, რომ იმ წლებში საქართველოდან წარგზავნილებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მდივანი ე. შვეგარდნაძე ხელმძღვანელობდა.

ლალი კოპაიაძე, კახა ბექაური.

**გვირდისუბანში**

...ხშირად ვმოგზაურობთ: თბილისში გავეცანით ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ყვავილები მივიტანეთ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. აქ წუთიერი დუმილით ვვცით პატივი დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ავედით მთაწმინდაზე, დავათვალიერეთ პლანეტარიუმი. შემდეგ ვინახულეთ დიდუბის პანთეონი. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მეგობრობის მუზეუმმა, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ, ხელოვნების მუზეუმმა.

შეუსწავლელი არ დავგვიჩენია მშობლიური რაიონი. ვინახულეთ გუდარეხი. გუდარეხის ციხესა და მონასტერზე სოფლის მკვიდრი ვლადიმერ ბექაური გვესაუბრა. ბევრი რამ შევიტყვეთ მისი მშენებლობის ისტორიიდან — მშენებლობა რუსუდანის მეფობის წლებში დაწყებულია და დიმიტრი თავდადებულის პერიოდში დამთავრებულა.

ვიყავით ბირთვისში, სამშვილდეში, ფარცხისა და ნადარბაზევშიც, ჩვენი რაიონი ხომ ასე მდიდარია ისტორიული ძეგლებით.

გვერდისუბანში წასვლის წინა ღამეს არც ერთს არ გვიძინია, მთელი რაზმი ფხიზლობდა. გვერდისუბნისკენ ავტობუსით ასურეთელ მოსწავლეებთან ერთად ვიმგზავრეთ. გზადაგზა ვჩერდებოდით — დავათვალიერეთ მცხეთა, გორში ვინახულეთ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, ავედით გორის ციხეზე...

მთელი ორი კვირა გავატარეთ გვერდისუბანში. აქ გავიცანით ნორჩ ტურისტთა მე-20 რესპუბლიკური შეკ-

რების მონაწილენი, აქვე შევხვდით გმირ ქალაქებში მოგზაურობის დროს შეძენილ მეგობრებს.

კახა კახიშვილი, შორენა ცაპიტი-შვილი, ლალა ნარიანიძე, ჯაზრ ჯალიაძე.

**სიმღერა ჩვენითანამგზავრია**

რაზმში ყველა მღერის. ბევრი პიონერული სიმღერა ვიცით. ხშირად ვატარებთ კონცერტებს. მუსიკალურ კვირეულზე ჩვენი რაზმი პირველ ადგილზე გავიდა. რაზემულის საბჭომ სიგელი გამოგვცა.

მანია ოპროპირია, მარინა ახციანი.

**ახალ კოლექტივში გულთბილად მიგვიღეს**

ხშირად გვსმენია პირველრაზმელთა ქება, გვიხარია, რომ წლეულს მათ კლასში მოხვდით. გულდიად შეგვხვდნენ. მაშინვე თავიანთი ნამუშევრები გვიჩვენეს; როცა ერთმანეთი ახლოს გავიცანით, მაშინვე ის გავიფიქრეთ, ჩვენც მათი ღირსეული თანაკლასელები გავმხდარიყავით. თავიდანვე მოგვეწონა კლას-კაბინეტში გამეფებული წესრიგი და სისუფთავე.

...გადის დღეები, თვეები, და რაც უფრო ახლოს ვეცნობთ ჩვენს თანარაზმელებს, მით უფრო გვიტაცებს მათი ხასიათები, სიტბო და გამგებიანობა. ახლა ჩვენც მათთან ერთად ვინაწილებთ რაზმის ყველა დავალებას, რომელთა შესრულება კანონია.

ლამარა ბაქოშვილი, არჩილ ცაპიტი-შვილი.



რაზმის საბჭოს თავმჯდომარის ნანა მენთეშაშვილის მუშაობის მთავარი გასაღებიც ეგ არის: ყველას — საინტერესო საქმე! კონკრეტულად ყველას აქვს რაზემულისა თუ რაზმის საბჭოს დავალება.

— ჩვენთან არ იციან შენ-ჩემობანა, რაზმში ყველა აპტივობს! ვემზადებით კომკავშირის რიგებში შესასვლელად, ჩაფიქრებულიც ასე გვაქვს, პიონერული რაზმი ერთ დღეს გახდება კომკავშირული კლასი, — გვითხრა ნანა მენთეშაშვილმა.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა და საქმე ერთია, ასეთია მისი ყველა თანარაზმელიც.

ნათელა ფაილოძე.






იქნებ სოროში სძვრებოდე,  
მზეზედ ვერ გამასდიოდე,  
ცოცხლადვ იმარხებოდე.  
ჩაგიშლით შაგ-ბნელ გიგმასა,  
გულზედ ხელს დაგაქრეფინებთ,  
რაც ხალხთა მასებს დამართე,  
ერთს ასად აგაქრეფინებთ.

მთქმელი — შალვა ზოლოტაური,  
ჩამწერი — ინზა ბაბაშაძე, თიანეთის  
რაიონის ლულელების საშუალო სკოლის  
V კლასის მოსწავლე.



როცა მტერი თავს დაგვესხა,  
დაგვირღვია ჩვენ მშვიდობა,  
მამა, ფრონტზე მიმავალი,  
ყველას გამოგვემშვიდობა.  
მე პატარა ვიყავ მაშინ,  
არც ვიცოდი „ანა-ბანა“.  
„ქალი გახდი სასახელო“, —  
მამამ ასე დამიბარა.  
დღეს პატარა გოგონა მყავს,  
ჯერ არ იცის „ანა-ბანა“  
და იმ ანდერძს მას გადავცემ,  
მე რომ მამამ დამიბარა.

მთქმელი — ნორა კაკოჩაშვილი  
(44 წ.)  
ჩამწერი — მბაჟული ახანიძე, გი-  
თურის რაიონის ნიგოჯეთის საშუა-  
ლო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



ამბავი უნდა ვიამბოთ  
ორმოცდაერთის წლისაო,  
ღვარვით მოსდგა საზღვრებზე  
ჯარები მტარვალისაო,  
მაგრამ საბჭოთა ხალხებსა  
შიში არ ჰქონდათ მტრისაო,  
წინ მიუძღოდათ პარტია  
ბელადი ლენინისაო.  
წითელი ღროშა გაშალეს  
მშრომელთა გასახარადა,  
მწარედ ანანეს ღუშმანსა,  
მზე დაუბნელეს შავადა.



ერთ მოხუც მამას ისეთი ვაჟიშვი-  
ლი ჰყავდა, ყველა მას დანატრო-  
და. სწორედ ამ მშვენიერ ჭაბუკს შე-  
ეყარა ავადმყოფობა და გარდაიცვა-  
ლა. დადგა დასაფლავების ღღე. ყვე-  
ლა ტირიდა და ქვითინებდა: ვაჟკა-  
ცის მარჯვენაზე და მის ოქროს ქო-  
ჩორზე მიწის დაყრა ესიკვდილებო-  
დათ. გამოსავალი ისევე მამამ მონახა:  
შვილს მარჯვენა მკლავი მოაჭრა,  
იდაყვში მოლუნა და ზედ ოქროს  
ჭოჩრის ღერები გააბა სიმებად. შემ-  
დეგ ჩამოჭრა სიმებს და მწუხარე  
ხმით აამღერა. ასე წარმოიშვა ჩანგი.

მთქმელი — თეზარონა სულთანი-  
შვილი (77 წ.),  
ჩამწერი — დალი სულთანიშვი-  
ლი, ონის რაიონის გლოლის საშუა-  
ლო სკოლის IX კლასის მოსწავლე.



საქართველოს წინათ ყოველი მხ-  
რიდან ავიწროვებდნენ მტრები:  
სპარსელები, არაბები... განსაკუთ-  
რებით დამანგრეველი იყო თურქე-  
ბის შემოსევა.  
